საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 16 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 158 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 158

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: მამა მათე ბასილის ძე, დედა თებრონე, დები ლიდა და ოლია და სიძე ბიქტორი გვასალია გულათადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ რომ შაბათს ჩვიდმეტ ივლისს ს. თეკლ. ზედა თეკლათის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის თავზე წირვა და პანაშვიდი მათთვის მუდამ დაუვიწყარის უდროვოთ დაკარგულის

**ვასილი (ვასო) მათეს ძე ეჯიბიას**

სულის მოსახსენებლათ, წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (ფ, 1—1)

მეუღლე პოლიშა როსტომის ასული თავის შვილებით კოსტა იოსებ დათიკო და შალვა გუნცაძეები და ქალიშვილი ოლღა აბაზაძისა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ შაბათს 17 ივლისს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სულის მოსახსენებლათ

**სპირიდონ იოსების ძის გუნცაძის**

ქალ. სურამში წმ. ხვთისმშობლის ეკლესიაში. (2310 2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე პოლინა ვასილის ასული მამულაიშვილისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 18 ივლისს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეუღლის

**ილია დავითის ძის მამულაიშვილის**

ხსოვნის აღსანიშნავად ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის 12 საათზე. (2318 1—1)

უზომოთ დამწუხრებულნი: ძენი: მიხეილ, ექიმი გრიგოლ, კბილის ექიმი სამუელ, გურია და ალექსანდრე; ასულნი: ანასტასია ოდიშარიასი და ელისაბედ (ციცუ) კეკელიას ასული; რძალნი: ოლგა, ძიძუ და ნადეჟდა; სიძენი: თ. სახოკია და მღ. ამბროსი ოდიშარია; შვილისშვილნი: თინათინი და ვახტანგი სახოკიები, ჩვართა, გრიგოლი და გივი ოდიშარიები, მედეა, ბოჩია და კოცო კეკელიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ თფილისში 12 ივლისს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

დეკანოზი **ანტონ კეკელია**

პანაშვიდი გადახდილ იქმნება მკათათვის 16 ნაშუადღევის 4 საათზე, მიხეილის სახელობის საავადმყოფოს სამლოცველოში. პანაშვიდს შემდეგ ცხედარს გაასვენებენ თფილისის სადგურზე, საიდანაც მიცვალებული წასვენებულ იქნება სოფ. ბანძაში. დაკრძალვა კვირას მკათათვის 18 შაურ-კარის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2319 1—1)

მართა, ექიმი ალექსანდრე და გრიგოლი დავითის ძენი კეკელიები, ექიმი ირაკლი და ნატაშა პაპავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ თფილისში მკათათვის 12 ს. გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძა დეკანოზი

**ანტონი კეკელია**

პანაშვიდი გადახდილი იქნება მკათათვის 16 ნაშუადღევის 4 საათზე, მიხეილის სახელობის საავადმყოფოს სამლოცველოში. პანაშვიდს შემდეგ ცხედარს გაასვენებენ თფილისის სადგურზე. დაკრძალვა კვირას სოფელ ბანძაში. (2421—1—1)

## სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

იწვევს: ორს ინჟინერს (გზათა აღმშენებ. და ჰიდრო-ტეხ.), ორს სათემო ინსტრუქტორს, სამს აგრონომს, ერთ სკოლების ინსტრუქტორს, ექიმებს ფარმაცევტებს, ორ მომრიგებელ მოსამართლეს, ორს ვეტერინარ ექიმს, ბუჰგალტერს (საერობო ბუჰგალტერიის მცოდნეს), და სამეურნეო ინსტრუქტორებს, თხოვნების და შესაფერი საბუთების წარდგენით უნდა მიმართონ ზემოხსენებულ გამგეობას. პირობების შესახებ გამგეობასთან შეთანხმებით.

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა. (6. 3—3)

## ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს მიმდინარე წლის 19 ივლისს ამავე ერობის ხმოსანთა მორიგი (მეხუთე)

## ყრილობას

[illegible]

ერობის გამგეობა. (5, 4—2)

## განცხადება

[illegible]

(6. 3—2)

ექიმი

**ნიკოლოზ ხიდ.-ძე ხუციშვილი**

[illegible] № 21, ბინა 2. ტელ. 11—74.

2048—თ.

## მუშათა კონფერენცია

[illegible]

პირველი ამისთანა თათბირი, როგორც ვიცით, მოხდა ვაშინგტონში. [illegible]

ისინი სხვაგან ეძებენ თავშესაფარს. მოსკოვში ეწერებიან ზოგიერთი ქვეყნების სოციალისტური პარტიები, მშრომელი ხალხი კი არსად არ მისდევს ამ პარტიებს. ეს ხალხი მიდის იმ გზით, რომელსაც რუსულათ ეძახიან линия наименьшаго сопротивления. ის ცდილობს მოლაპარაკების და შეთანხმების გზით თავისი სადღეისო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ის ეძებს პატარ-პატარა დათმობებს. ეს არის რეფორმიზმი. ეს გამოიხატება ვაშინგტონში და ახლა უთუოთ გამოიხატა გენუაში. ეს არა სასურველი გადახრა რეფორმიზმისკენ ისევ ბალშევიზმის ბრალია.

მიაღწევს თუ არა თავის მიზანს რეფორმისტული გზით მუშათა კლასი? თეორეტიულათ, წიგნებიდან ვიცით, რომ ვერ მიაღწევს. მაგრამ არც ერთი თეორია, არც ერთი წიგნიდან ამონაწერი ჩვენ არ გადაგვიქცევია გაყინულ მრწამსათ. ყველაფერს ვუკვირდებით ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში. მსოფლიო ომმა შექმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ბალშევიკური სამოქალაქო ომი მუშათა კლასს ვერ დააყენებს მიზანშეწონილ ხაზზე. ჩვენ ყოველთვის გვწამს ერთი ჭეშმარიტება. მისაღებია ის, რაც ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას, დასაგმობია ის, რაც ამას ხელს უშლის. ნურასოდეს ნუ დავივიწყებთ იმ დებულებას, რომ სოციალიზმი არ მოეწყობა იქ, სადაც მოშლილია საწარმოო ძალები. გამოვიდეთ ამ დებულებიდან და ვსთქვათ პირდაპირ, რომ დღევანდელ პირობებში სოციალიზმისთვის ნიადაგი ვერ მომზადდება სამოქალაქო ომით. ეს ყველაზე უფრო არღვევს ამ ნიადაგს.

თავისთავათ არ დაფასდება არც ერთი ხაზი, უნდა დაფასდეს საბოლოო მიზნის მიხედვით. სოციალიზმისკენ სასიარულოთ, ჩვენ ვფიქრობთ, ალბერტ ტომასთან უფრო მოსახერხებელია თანხმობა, ვიდრე ლენინთან.

ადვილათ შეიძლება, რომ ვაშინგტონ გენუის კონფერენციამ მისცეს მუშათა კლასს 8 საათის სამუშაო დღე და გაუმჯობესებული კანონმდებლობა. ვიცით მეორე მხრით, რომ საბჭოთა რუსეთში მუშაობენ 10, 11 და 12 საათობით, და მუშათა კლასს იქ არა აქვს შრომის დამცველი კანონმდებლობა. პირველ შემთხვევაში მუშა ინახავს ძალებს და უნარს არ კარგავს სოციალიზმისკენ წინ სასვლელათ, მეორე შემთხვევაში ის გლახავდება გონებრივათ და ფიზიკურათ, და უვარგისი ხდება სოციალისტური რაზმებისათვის.

ამ საბოლოო მიზნის მიხედვით უფრო რევოლიუციონერია ალბერტ ტომა—ეს უზომიერესი სოციალისტი, და უფრო რეაქციონერია ლენინი—ეს ურევოლიუციონერესი გმირი.

დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ სოციალიზმის გარეთ არ სჩანს გამოსავალი გზა. იმავე დროს სოციალისტური გზის გამონახვა არასოდეს არ ყოფილა ისე ძნელი, როგორც დღეს. მის გამოსანახავათ საჭიროა მეტათ რთული და მოქნილი ტაქტიკა. საჭიროა ისეთი ტაქტიკა, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ ხელს უწყობს შემოქმედებით მუშაობას და რომელიც ასე თუ ისე ხელს უშლის დამანგრეველ პოლიტიკას. გენუის კონფერენცია, თუნდაც ის იდგეს არა სასურველ, რეფორმისტულ გზაზე, მაინც ადრე თუ გვიან გამოიყვანს მუშათა კლასს ნამდვილ რევოლიუციონურ გზისკენ.

## ორი მიმართულება

III

**საქართველო და რუსეთი.**

[illegible]

ივნისს ღამით მოუხდენიათ მთელ ქალაქში ჩხრეკა. აღმოუჩენიათ, სხვათა შორის, მსხვილი სპეკულიანტები თავისივე მოხელეებში.—აუარებელი ტანისამოსი, საცვალი, ფეხსაცმელი წავართვით ამ ღამეს ბურჟუაზიას,—სწერს ერთი ბალშევიკი. ამ ერთი გაზეთის ერთი გვერდი კმარა ბალშევიკური „სოციალიზმის“ დასახასიათებლათ. ბალშევიკები თავისი ეკონომიური პოლიტიკით ქმნიან ახალ ბურჟუაზიას, რომელსაც დროგამოშვებით თითონვე თავს ესხმებიან. ართმევენ წართმეულს, მერე არიგებენ და ამით ინახავენ თავის ბანაკში შეუგნებელ გაჭირვებულებს.

ეს არის ის ჭია, რომელიც ღრღნის რევოლიუციას. ჩვენ არ გვინდა ამისთანა „რევოლიუციონერობა“. თუ ეს რევოლიუციაა, ჩვენ კონტრ-რევოლიუციონერები ვართ.

მარტო ხარკოვში არ ხდება ამისთანა ამბავი. ყველგან ხდება ერთი და იგივე, მხოლოდ სხვადასხვა სახით. სად ეს და სად მარქსიზმი?.. დავუჯეროთ ერთ წამს ბალშევიკებს და ვსთქვათ, რომ მარქსიზმი უარჰყოფდა მუშათა დემოკრატიას და აღიარებდა მარტო ერთი პარტიის ან რამდენიმე პირის დიქტატურას. ასე უღმერთოთ დამახინჯებული მარქსიც ვერ გაამართლებს ბალშევიკების დღევანდელ საქმიანობას. შეხედეთ, რა ხდება ბაქოში, ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში, მოსკოვში, პეტროგრადში. იქ დაინახავთ მხოლოდ საშინელ ნანგრევებს და რასაკვირველია ველარ შეამჩნევთ ქვეშ მოყოლილ, სადღაც უფსკრულში დაკარგულ მარქსისტულ მსოფლმხედველობას. ამის გასაგებათ საჭირო არ არის იქ წასვლა. ჩვენ გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება იქაური, კომუნისტური გაზეთებიდან ამოღებული ცნობები. ადგილობრივი ბალშევიკები არაფერს არ ამბობენ ამ ცნობების შესახებ. ტყუილია,—ვერ იტყვიან. რედაქციის სტოლზე გვიწყვია ეს გაზეთები.

„საქართველოს კომუნისტი“ ვერ არღვევს ამ ცნობებს, არც ცდილობს, რომ დაარღვიოს და იკლაკნება გახურებულ ტაფაზე დაგდებული თევზივით. მის წერილებს ეტყობა გულმოსულობა. ეს კი მარტო სისუსტის ნიშანია. მე არა მაქვს რა გულმოსასვლელი და არ გამოვდივარ გაზეთის ფურცლებზე ბაზრული ენით. დაგაჯერონ, რომ დღევანდელი რუსეთი სჯობია დღევანდელ საქართველოს და ჩვენი მხრივ მათ დავაჯერებთ, რომ ბალშევიკურ მოძღვრებას ვიწამებთ, რაც უნდა გვქულდენ ბალშევიკები.

მაგრამ არა, სოციალიზმისკენ ჩვენ ვერ ვივლით ნგრევის გზით. უნდა ვიაროთ ისევ მარქსიზმის გზით. ამას წინეთ მე მოვიყვანე ერთი ამონაწერი მარქსის წიგნაკიდან. მეგონა—ბალშევიკების გაზეთი როზა ლიუქსენბურგს მაინც არ დააბრალებდა ამონაწერის დამახინჯებას.

ვამბობ გადაჭრით და განმეორებით, რომ მარქსიც და ენგელსიც აღიარებდნენ დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც სოციალიზმისთვის საუკეთესო შესაფერ პოლიტიკურ ფორმას. ეს აზრი გატარებულია, სხვათა შორის, იმ კრიტიკულ წერილში, რომელიც მარქსმა უძღვნა გოტის პროგრამას და რომელსაც „საქართველოს კომუნისტი“ არ კითხულობს ბოლომდის.

მარქსის თვალში მუშათა კლასის დიქტატურა არის იმავე დროს მთელი მშრომელი ხალხის თვითმპყრობელობა. ასეთი დიქტატურაა დღეს საქართველოში ბალშევიკებს კარგათ ეცოდინებათ ის კრება, რომელიც მოხდა გასულ კვირა დღეს ეს კრება ერთ-ერთი მაგალითია იმის [illegible] „კომუნისტის“ თანამშრომლები ჰგვანან მარქსს და ენგელსს. ამისთანა დიქტატურა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხერხემალი არ უვარგა არც ერთ საზოგადოებრივ კლასს, სადაც არ ვარგა არც ბურჟუაზია, არც პროლეტარიატი. დიახ, ეს, შეიძლება, პირველი მაგალითია ისტორიაში, როცა მთავრობა არ გამოხატავს არც ერთი კლასის ინტერესებს, როცა ის დაქსაქსულ ბრბოს ეყრდნობა და ხიშტებს იქით არ აქვს ფეხმოსაკიდებელი. ამისთანა მაგალითია დღევანდელი საბჭოთა რუსეთის მთავრობა.

მუშათა კლასის დიქტატურა არის აქ—საქართველოში. ამ დიქტატურის სრული უარყოფა არის იქ—რუსეთში. აქ მთელი ძალ-ღონე მიმართულია წარმოების გაძლიერებისაკენ. იქ ამ ნიადაგზე ვერაფერს ხდებიან და ღამ-ღამით ბურჟუების სახლებში დადიან...

სოციალიზმის საამშენებლო მასალისთვის ჩვენ არ წავალთ საქართველოდან რუსეთში და ბალშევიკურ რუსეთიდან აქ ჩვენი მშრომელი ხალხი თავისი დიქტატურის გასამაგრებლათ მასწავლებლებს არ დაიბირებს.

**ს. დევდარიანი.**

## საბჭოთა რუსეთი

IV

**ეროვნული საკითხი.**

ოქტომბრის გადატრიალება მოხდა ბალშევიზმის ფირმით. ბალშევიკები მაშინ კიდევ სოციალ-დემოკრატებს ეძახდენ თავის თავს და ჩვენთან ერთად ერთი და იგივე პროგრამა ჰქონდათ. მართალია, ტაქტიკაში ჩვენ შორის მუდამ ბრძოლა და უთანხმოება იყო, მარა ეს ხდებოდა მარქსიზმის გაგების ნიადაგზე. ოქტომბრამდე არც ერთხელ არ ყოფილა კითხვა იმის შესახებ, რომ პროგრამა მოძველდა და ახალი უნდა დაიწეროსო. ეს აზრი დაიბადა მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ამის შემდეგ გამოიცვალეს მათ სახელიც, უარჰყვეს „სოციალ-დემოკრატია“ და დაარსეს საკუთარი „კომუნისტური პარტია“.

მწუხარებასთან ერთად სიხარულიც უნდა გამოვთქვათ, რომ ეს ასე მოხდა. მეტად სამწუხარო იქნებოდა, რომ რაც რუსეთში მოხდა და ხდება—ყოველივე ეს სოციალ-დემოკრატიის დროშით მომხდარიყო, რადგან ეს—თუ სამუდამოთ არა, დიდი ხნით მაინც დასცემდა და დაასამარებდა მუშათა კლასის თვალში სოციალიზმის იდეიას. მართალია კომუნისტებიც სოციალისტობენ და სოციალიზმის სახელით მოქმედებენ, მარა დღეს თითქმის ყველა ხედავს, რომ ეს არაა ის სოციალიზმი, რომელსაც მარქსიზმი და სოციალ-დემოკრატია ქადაგებდა; რომ ეს არის კომუნისტების სოციალიზმი, „მუჟიკური სოციალიზმი“, როგორც ამბობენ და თუ ის არ ვარგა და მახინჯი გამოდგა—ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ნამდვილი სოციალიზმიც არ ვარგა და უარსაყოფია. ამ მხრით მათმა ცალკე პარტიაში მოთავსებამ და სახელის გამოცვლამ უთუოთ სარგებლობა მოუტანა ნამდვილ, ჭეშმარიტ სოციალიზმს და გაანთავისუფლა ის პასუხის მგებლობისაგან ყველა იმ საშინელებაში, რომელიც „კომუნისტური სოციალიზმის“ სახელით ხდება.

სოციალდემოკრატია და მისი სოციალიზმი რუსეთში დამარცხდა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის აღარ აღსდგება. სოციალდემოკრატიის სოციალიზმი—ეს ის ისტორიული აუცილებლობაა, რომელსაც ადრე თუ გვიან ვერ ასცდება ვერც ერთი ქვეყანა და მათ შორის რუსეთიც.

როგორც ვთქვით, ბალშევიკებმა სახელი იცვალეს, უარჰყვეს სოციალდემოკრატია, მისი პროგრამა და შეუდგენ ახალი პროგრამის შემუშავებას. ახალი პროგრამის შემუშავება თვით ერთი ავტორის ბუხარინის საჯარო განცხადებით მეტად რთული და ძნელი გამოდგა. როგორც შემუშავების, ისე მიღების დროს კომისიაში და პლენუმზე მეტად საყურადღებო თეორიული კამათი გაიმართა. ამ კამათის გაცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ ამ ხელათ ჩვენ გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც ეხება ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

ამ საკითხმა ყრილობაზე დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. ორი ძლიერი მიმდინარეობა ერთი მეორეს დაეჯახა. ერთს მეთაურობდა ბუხარინი, მეორეს ლენინი. რომ ლენინის ავტორიტეტი არა—უეჭველია ბუხარინის გატაცებული მომხრენი სავსებით გაიმარჯვებდენ. მხოლოდ ლენინის გავლენით გახდა შესაძლებელი ამოგდება პროგრამიდან ისეთი „ყოვლად შეუსაბამო მუხლის“ (ლენინის სიტყვებია), რომელიც შეიმუშავა ბუხარინის კომისიამ. მიღებულ იქნა მეორე დებულება, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არა ამ მუხლის ფორმულიროვკა, არამედ, როგორც ვთქვით, ის თეორიული დავა, რომილიც ამ დებულების გარშემო დატრიალდა, და რომლის შესახებ ჩვენ მოკლეთ ვალაპარაკებთ თვით ავტორებს.

მომხსენებელი **ბუხარინი**. „ჩვენს ნაციონალურ პროგრამაში არის ორი ძირითადი და უდავო დებულება. პირველია ის, რომ საფუძვლათ იქნას დადებული მისწრაფება ყველა ერის პროლეტარიატის გაერთიანებისა. ეს ობსოლიუტური და უდავო დებულებაა და ის კომუნისტების პარტიის პროგრამის პირველი აბზაცის თავშია. მეორე დებულება ამბობს, რომ ყოველგვარი ეროვნებათა უპირატესობა, ვინც უნდა იყოს ის, ყოველგვარი უთანასწორობა ერთა შორის უნდა მოისპოს. აქამდის ყველა შეთანხმებული ვართ. უთანხმოება იწყება მაშინ და იმდენათ, რამდენათ კითხვა ეხება კონკრეტიულ ფორმას იმ მოთხოვნილებისას, რომელსაც მოითხოვს ერთა თვით-გამორკვევის ლოზუნგი, ე. ი. სახელმწიფოებრივი გამოყოფა. მე არ შემიძლია მოვიყვანო აქ ყველა არგუმენტები. ეს შესაძლებელი იქნება დისკუსიის დროს. მე ვამყარებ ჩემს შეხედულებას შემდეგ მოსაზრებებზე. თუ ჩვენ წამოვაყენებთ ერთა თვით გამორკვევის უფლებას, მაშინ ყველას აქვს უფლება გვკითხოს: რა არის ერი? მეცნიერულათ ერი არის კრებული ყველა კლასის; ეს არ არის პროლეტარიატი და ბურჟუაზია. ეს პროლეტარიატიც არის და ბურჟუაზიაც. შემეცნება „ერი“ ფარავს საზოგადოების ყველა კლასებს. ამიტომ, რამდენათ ჩვენ კურსი გვიჭირავს პროლეტარიატის დიქტატურაზე, მე მგონია, ჩვენ არ შეგვიძლია წამოვაყენოთ ერთა თვითგამორკვევის უფლება. ყველა გვეტყვის: რაკი თქვენ ერთა თვითგამორკვევაზე ლაპარაკობთ, ამით ცნობთ და აღიარებთ აგრეთვე ფიქტიურ ეგრეთ წოდებულ „ერის ნებას“, რომელიც გამოხატავს ეგრეთ წოდებულ „მთელ ხალხს“, რომელშიაც შედიან გაბატონებული კლასებიც დამფ. კრებაში, პარლამენტში, რომელიც არჩეულია საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით და შეიცავს პირველ რიგში გაბატონებულ კლასებს. ჩვენი ძირითადი ხაზი კი არის ხაზი პროლეტარიატის დიქტატურის, რომელიც ამბობს, რომ გაბატონებული კლასები უნდა დასთრგუნოს მუშათა კლასმა. ჩვენთვის საჭიროა ახლა წამოვაყენოთ ისეთი ფორმულა, რომელიც უნდა ამბობდეს, რომ ჩვენი ორიენტაცია მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურისაკენ და ამიტომ ვაყენებთ შესაფერ ლოზუნგებსაც. კომისიაში მე ვიცავდი იმ ფორმულას, რომელიც წამოაყენა ამხ. სტალინმა საბჭოების მესამე ყრილობაზე. ესაა—**„თვითგამორკვევა თვითეულ ერის მშრომელი კლასის“**. (ხაზი ყველგან ჩვენია. გვერ. 40—41).

როგორც ხედავთ, დებულება: „ერთა თვითგამორკვევა“ კომისიამ ბუხარინის მეთაურობით შესცვალა დებულებათ: —„თვით გამორკვევა მშრომელი კლასის“.

ამასვე იცავდენ და ასაბუთებდენ ამას წინათ აქაური კომუნისტებიც. ცხადია, აქაური კომუნისტები არ იცნობენ ამ კითხვას. მათ გაუგონიათ ბუხარინის და სტალინის დებულება, მარა ის კი არ გაუგონიათ, რომ მათივე ყრილობამ უარჰყო ეს ყალბი შეხედულება და უარჰყო თვით ლენინის ძლიერი იერიშების შემდეგ.

ლენინმა ორჯელ ილაპარაკა ვრცლათ ახალი პროგრამის შესახებ საერთოდ და მათ შორის ნაციონალურ საკითხზედაც.

პირველად ის კონტრ-მომხსენებლად გამოვიდა ყრილობაზე და ჩვენთვის ამ ხელად საინტერესო კითხვის შესახებ შემდეგი სთქვა: „ბუხარინი სასურველს სინამდვილეთ აცხადებს. ის ამბობს, რომ ერის თვითგამორკვევის უფლების ცნობა და აღიარება არ შეიძლებაო. ნაცია ნიშნავს ბურჟუაზიას პროლეტარიატთან ერთად და ჩვენ, პროლეტარებმა, რომ ვიღაც საზიზღარი ბურჟუაზიის თვითგამორკვევის უფლება ვიცნოთ —აბა ეს რას ემსგავსებოდაო. უკაცრავად, ეს ემსგავსებოდა იმას, რაც არის. თუ ამას გამოაგდებთ,—თქვენ შეგრჩებათ ფანტაზია. თქვენ ეყრდნობით დიფერენციაციის პროცესს, რომელიც ერის შიგნით ხდება, პროლეტარიატის ბურჟუაზიისაგან გათიშვაზე. მარა ჯერ ვნახოთ რა გზით წავა ეს დიფერენციაცია. „მე მინდა ვიცნა და ვაღიარო მხოლოდ მშრომელი კლასის თვითგამორკვევის უფლებაო“—ამბობს ბუხარინი. თქვენ მაშასადამე გინდათ ის, რაც სინამდვილეში არც ერთ ქვეყანაში არაა მიღწეული, გარდა რუსეთისა. ეს სასაცილოა. ჩვენ ვდგევართ კლასობრივ თვალსაზრისზე. ჩვენ პროგრამაში არ შეიძლება იყოს მხოლოდ მშრომელთა თვითგამორკვევა, და ეს იმიტომ, რომ ეს არ არის მართალი. პროგრამაში უნდა დაიწეროს ის რაც არის. თვითეულმა ერმა უნდა მიიღოს ერთა თვითგამორკვევის უფლება—აი რა შეუწყობს ხელს მშრომელი კლასის თვითგამორკვევას. აიღეთ მაგალითად პოლონეთი. იქ რევოლიუცია მიმდინარეობს ცოტათი თავისებუ-

# გენერალური შტაბის ცნობა

14 ივლისი.

**13 ივლის ჩვენმა ჯარებმა გოდერძის უღელტეხილიდან დაიწყეს წ ნსვლა ხულოსაკენ. წინსვლა დაუბრკოლებლივ გრძელდება. დანარჩენ ფრონტებზე სიწყნარეა.**

ივლისის 15.

**ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.**

რათ. ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ: „ძირს ერის თვითგამორკვევის უფლება! ჩვენ ვაძლევთ თვითგამორკვევის უფლებას მხოლოდ მშრომელ კლასს!“ ეს თვითგამორკვევა ხდება მეტად რთული და ძნელი გზით. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების განვითარების ყველა სტადიები და არავითარ დეკრეტს მოსკოვიდან ამის შესახებ ადგილი არ უნდა ქონდეს. შეხედეთ ფინლიანდიას: ქვეყანა დემოკრატიული, უფრო განვითარებული და კულტურული, ვინემ ჩვენ. იქ ხდება დიფერენცია თავისებურათ უფრო მტკივნეულობით, ვინემ ჩვენში. რასაც ჩვენ ვსწერთ პროგრამაში, არის ცნობა იმის, რაც მოხდა სინამდვილეში იმ ეპოქის შემდეგ, რაც ჩვენ საერთოდ ერთა თვითგამორკვევა დავსწერეთ. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, თუ რა განვითარების საფეხურზე სდგას ესა თუ ის ერი. ჩვენი პროგრამა ვერ იტყვის მხოლოდ მშრომელ ხალხის თვით-

[illegible]

გაგეცინებათ, როცა აქაურ კომუნისტებს ეს მათივე ლიდერის მიერ უარყოფილი დებულება უმაღლეს სიბრძნეთ გამოაქვთ და მის მიღებას გვირჩევენ. როცა რუსი კომუნისტი შოვინისტობს,—ეს კიდევ ჰო, მარა როცა ქართველი კომუნისტი „ველიკოროსიის შოვინისტათ“ გვევლინება,—ეს მართლაც რომ ისტორიული კურიოზია.

საზოგადო პროგრამის გარშემო ატეხილ დავაში გზა-გზა ბევრი რამ ისეთი ითქვა, რომლის გაცნობა ჩვენი მკითხველისათვის ფრიად საჭიროა და რასაც ჩვენ შემდეგ წერილებში შევეცდებით.

**მეგობარი.**

---

**შეცდომის გასწორება.** ჩემს მესამე წერილში მეტად ბევრი კორექტურული შეცდომებია. ვასწორებთ ზოგიერთებს· დაბეჭდილია დელ. მგელაძე: მე **მეკითხებით** იყო თუ არა შემთხვევა თუ გინდ ერთხელ რომ ცდილიყვნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მუშები მონაწილე გაე-

[illegible]

გენილ ხარჯთ-აღრიცხვისა გამოღებულ იქნეს და გაეხსნას კრედიტი სასანიტარო სექციის უფროსს სამხედრო ფონდიდან. ხოლო ავათმყოფთა აქიმობ-ამოვლა-გამოკვების ხარჯისათვის გაეხსნას მასვე კრედიტი მე-7 პარაგრაფიდან, მუხლი მესამე.

ახტალაში, წყალტუბოში და ბორჯომში გახსნილ სადგურებზე მივლენილი იქნენ ექიმები, მოხელეები, ფერშლები, სათნოების დები, სანიტრები და სხვა. მოსამსახურენი გოსპიტლებიდან, რომელთაც კუთვნილ ჯამაგირების გარდა მიეცეს დღიური ხარჯი თანახმად ბრძანებისა რესპუბლიკის ჯარების მიმართ ამა წლის 20 თებერვლიდან № 47.

ბორჯომის კლიმატიური სადგურის გამგე ექიმად დაინიშნოს ადგილობრივი კურორტის ექიმი, რომელსაც მიეცეს სასყიდლათ ასი მანეთი დღეში და უფასო ულუფა.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**მბეჭდავო მუშებო, იყავით ფხიზლათ!** ამ სათაურით „პრავდაში“ სწერია: „ვინაიდან სრულიად რუსეთის მბეჭდავ მუშათა კონფერენციამ დაადგინა გააუქმოს მბეჭდავთა ყვითელი გამგეობა,—

[illegible]

იყო განთავისუფლებული ბოროტ-მოქმედება და წარმოუდგენლათ ყვაოდა აქ „ობლომოვშჩინა“. იმ დროს, როდესაც საბჭოთა მთავრობა მთელ თავის ძალებს იკრებს, რომ მოიგერიოს პოლონელების შემოტევა, იმ დროს, როდესაც ასეთი კრიზისი არის სურსათის და სათბობ მასალის და დგება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საკითხი, მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც რესპუბლიკის სასიცოცხლო აპარატს ანგრევენ. ზიზღი ზარმაცებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობენ პოლონეთის პლანებს. (დონ. გუბ. „იზვესტია“ № 127).

და იცით ვინ არიან ესენი? ესენი არიან ტულის მუშები. მუშების სახელით ლაპარაკობს და მოქმედობს საბჭოთა მთავრობა. ესენი კი თურმე „პოლონეთის პანებს უწყობენ ხელს“.

**ხარკოვში.**

(კერძო წერილიდან).

...ჩვენ ზოგჯერ მოგვდის ამბავი საქართველოდან ძალიან საამური და ასე თუ ისე გული გვიმაგრდება, რომ იქ ხალხი თავისუფლად ცხოვრობს. ჩვენ იმედი დავკარგეთ თქვენთან მოსვლისა. ჩემი წერილი სამარის წერილია, ჩვენ მკვდარ ცოცხალნი ვართ. ხვალ ან ზეგ სამარეს ველით იქამდინ გამწვავდა ცხოვრება აქ. საკმარისი იქნება მოვიყვანო ზოგიერთი სურსათის ფასი, რომ წარმოიდგინოთ აქაური სიძვირე. ერთი ფუთი შვა მოედანზე ღირს 350 მანეთი, შავი პური (რჟანოი) ცუდათ გამომცხვარი—210 მანეთი, თეთრი პური კი 400 მანეთი, ხორცი 600 მანეთი გირვანქა. ათი კვერცხი ღირს 800 მანეთი. რძე—1 სტაქანი 70 მანეთი, ფეხსაცმელი—30,000 მანეთი ღირს ისიც ნახევარი კარდონიანია, სხვა მანუფაქტურაზე ნუ მკითხავთ,—ფულათაც ვერ იშოვნით. ამ დღეებში დიიწყეს ჩხრეკა. ყველაფერს ართმევენ, როგორც ხორაგს, აგრეთვე ტანსაცმელს. დღეში ორჯერ-სამჯერ გაგიჩხრეკენ ბინას და თუ რამე გამოგიჩინეს ციხეში გზავნიან, ციხიდან „კონცენტრაციონურ ლაგერში“ სამუშაოდ. ჯერ-ჯერობით ასე თუ ისე სული გვიდგია. დღე და ღამე მუშაობაში ვარ. მასწავლებლობაში თვეში 8000 მან. მაძლევენ. ამას გარდა, ხან სპიჩკას ვაკეთებ და ჩუმათ ვყიდი—კოროპკას 150 მანეთად. ამ ბოლო დროს ეს მეორე თვეა „ზავოდში“ ალაგი ვიშოვე 45,000 მან. თვეში, ისე რომ, ძლივს სული გვიდგია. თუ ცოცხალნი დავრჩით და როგორმე საკონსულომ ქართველებისთვის ვაგონი იშოვა საქართველოში გამოსაგზავნი, ჩვენ სიცივეს გადაურჩებით.

იქნება თქვენ როგორმე მიიღებთ რამე ზომებს, რომ ჩვენს შესახებ საქართველოს მთავრობას აცნობოთ, რომ საქართველოში წამოსვლა გვინდა და შეიძლება დაგვეხმაროთ...

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

15 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**სმირნაში.**

სმირნაში სრული სიწყნარეა.

**კრასინის დელეგაცია.**

„მატენის“ ცნობით კრასინი, ახალი დელეგატების თანხლებით, ლონდონში მივა მომავალ კვირის დამლევს.

**სპას კონფერენცია.**

სპას კონფერენციის სხდომა გაიხსნა სამშაბათს დილით. დ-რ სიმონსმა საბოლოო პასუხი გასცა გერმანიას ნახშირის შესახებ. გერმანიის წინადადება შემდეგია: 1) 1920 წ. ოქტომბრიდან გერმანია ყოველ დღე მიაწოდებს მოკავშირეებს 56,000 ტონ ნახშირს. 2) 1921 წლის ოქტომბრიდან კი ყოველ თვეში—1,700,009 ტონს... (გამოტოვებულია) და მუშებისათვის ბინის გაკეთება. იტალიის, საფრანგეთისა და ბელგიის იპოტეკა—გერმანიის ნახშირზე უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა—ზემო სილეზიის პლებისციტზე უარი რომ განეცხადებიათ და დაკმაყოფილებულიყვნენ ბოგემიისა და პოლონეთის დაინტერესებულ ერებთან შეთანხმებით. დელაკრუემ აღნიშნა, რომ დ-რ სიმსონის პასუხი სერიოზულ მდგომარეობას ქმნისო. მოკავშირეებმა მოიწვიეს რა სპაში გერმანელები დაამტკიცეს თავისი ზომიერება და თანამშრომლობის სურვილი. მან გაიხსენა, რომ ხელშეკრულების ძალით გერმანიას ყოველ თვე უნდა მოეტანა 3.250,000 ტონი ნახშირი. აღორძინების კომისიამ ეს ჯამი შემცირა 2 400 000 ტონამდე. დელაკრუამ აღნიშნა, რომ მოკავშირეები მზათ იყვენ შეთანხმებაზე წასულიყვენ როდესაც გერმანიის წინადადებებს და განმარტებებს გაეცვნენო. მაგრამ დაინახეს რა მათ გერმანიის მთავრობის ისეთი მოქმედება, რომელიც ანგარიშს არ უწევს არც ხელშეკრულებას და არც აღორძინების კომისიის პროგრამას და რომ იგი სრულებით არა დამაკმაყოფილებელ წინადადებებს იძლევა, გადასწყვიტოს კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა, რათა ამგვარათ მოკავშირეებს შეძლება ექნეთ შექმნილ მდგომარეობაზე ითათბირონ. მარშალი ფოში და ვილსონი სპაში სასწრაფოდ გაიწვიეს.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**სპარსეთი და ადერბეიჯანი.**

**რეველი.** ივლისის 13. სპარსეთის მთავრობამ აღიარა ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა და თავისი წარმომადგენელი დანიშნა.

**სამხედრო ცნობები.**

ვილნოს მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. ვილიაზე გადავიდა. წამოიყვანეს ტყვეები. მოლოდეჩნოს დასავლეთით ჩვენი ჯარი გერმანიის ძველ პოზიციებს უახლოვდება. ბარანოვიჩის და სლუცკის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ჩვენ მტერი კამენეც პოდოლსკიდან გამოვდევნეთ. დუბნოსა და.. (დამახინჯებულია) შუა მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს.

**რუსეთის საკითხის შესახებ.**

**რომი.** ივლ. 14. მოკავშირეთა თათბირზე ინგლისს, იტალიას, საფრანგეთსა და იაპონიის შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხდება რუსეთის საკითხების შესახებ.

# საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

15 ივლისი.

**ერევანი.** ივლ. 14. სომხეთის მთავრობამ მოსკოვიდან სომხეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარისაგან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ საზავო მოლაპარაკება ჭიანურდება ადერბეიჯანის წყალობითო. მოლაპარაკების უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენს სომხეთ-ადერბეიჯანის საზღვარი. ადერბეიჯანი აშკარათ მიისწრაფის განხორციელდეს თავისი გეგმა ყარაბახის, ზანგეზურის და სომხეთის სხვა უდავო ტერიტორიის ხელში ჩაგდებით.

**ლონდონი.** 2 ივლ. ლოიდ-ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა: „ტაიმსის“ ცნობით ინგლისის მისია მოკლე ხანში დასტოვებს ყირიმის მიდამოებს. ინგლისი არ ფიქრობს რომ გენ. ვრანგელთან იყოლიოს თავისი წარმომადგენელი.

**ლონდონი.** ივლ. 3. თემთა პალატის ერთ-ერთმა დეპუტატთაგანმა მთავრობაში შეკითხვა შეიტანა ადერბეიჯანში მყოფ ბრიტანელ სამხედრო ტყვეების მდგომარეობის შესახებ.

**კონსტანტინოპოლი.** „ბოსფორი“ გადმოგვცემს, რომ ბაღდადში მღელვარება გრძელდება. ქალაქს საველე ზარბაზნებიდან ესვრიან, მრავალია მოკლული და დაჭრილი.

**ლონდონი.** ივლ. 2. ჩიჩერინმა უმავთულო ტელეგრაფით აუწყა კრასინს ოფიციალურად გასაცხადებლად, რომ საბჭოთა ჯარი სპარსეთის ევაკუაციას ახდენს.—„დეილი ტელეგრაფი“, იუწყება რა ამას, სწერს, რომ ბოლშევიკები სპარსეთში ფარულად განაგრძობენ მუშაობას.

**პარიზი.** ივლ. 2. „ტანი“ დიდ წერილს უთმობს საქართველოსა და ადერბეიჯანის საზავო ხელშეკრულებას და იუწყება, რომ თფილისში მოვიდა 50 კაცისაგან შემდგარი საბჭოთა მისია. დიპლომატიური წარმომადგენლებს გარდა არიან ეკონომიური და სამხედრო წარმომადგენლებიც.

**კონსტანტინოპოლი.** ივლ. 4. მიღებულ ცნობების თანახმად მუსტაფა-ქემალს მიუმართავს საფრანგეთის სარდალ გენ. გუროსთვის დროებითი ზავის ჩამოგდების წინადადებით იმ პირობით, რომ ფრანგებმა ადანისა და ზონგულდაკის ევაკუაცია მოახდინონ. ქემალი მოითხოვს აგრეთვე მასზე მაღაროების გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმუქრება, რომ ქვანახშირის მიდამოებში ის ფრანგებს შეუტევს.

**საბერძნეთის მისსის ცნობები.**

საბერძნეთის ჯარმა დარდანელი დაიკავა და მარმარილოს ზღვის მთელი ნაპირი ქემალისტებისაგან გასწმინდა. საბერძნეთის ჯარებმა მოახდინეს პრინცის კუნძულების ოკუპაცია და დაიკავეს დამასკი, კალინჯა, ჩუბუკლე და ანაქოლხისარი.

# ახალი ამბები

**სამშაბათს, 20 მკათათვეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს. ს.-დ. მ. პ. საკანტროლო კომისიის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ.**

✦ **პარასკევს, 16 ივლისს, სეკრეტარიატის ბინაზე დანიშნულია პროფეს. კავშირთა საბჭოს მორიგი სხდომა. დღის წესრიგშია: ჟურნალისტთა საზოგადოების წესდების დამტკიცება, ბაზრის კონტროლიორების მოხსენება, მომრიგებელ კამერის მუშათა სექციის მოხსენება და სხვ.**

✦ **მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია** 14 ივლისს ინახულა საქართველოში მყოფმა იტალიის რწმუნებულმა მერკანტელმა და დიდხანს ესაუბრა მას.

✦ 14 ივლისს მთავრობის თავმჯდომარე ინახულა საქართველოში მყოფმა სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა.

✦ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და მალე გასასყიდლად გამოვა ივ. გველესიანის მიერ პროფ. ა. ვასილიევის სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი „საშუალო საუკუნოების ისტორია“. სახელმძღვანელოში შეტანილია რუსეთისა და საქართველოს ისტორიაც.

✦ **კომისიის რწმუნებულთა გამგზავრება ფოთში.** ფოთში გაემგზავრნენ რუსეთ-საქართველოს სამხედრო გარანტიათა შერეული კომისიის რწმუნებულები. საქართველოს დელეგაციის მხრით გაგზავნილია პ. კოსტანა-

[illegible]

# სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი წესწყობილება

(იხ. „ერთ.“ №№ 151, 152, 153, 156, 157).

**შვეიცარია.**

ყველაზე უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოდ მთელს ქვეყანაზე ითვლება პატარა შვეიცარია, რომელიც ოცდახუთ ავტონომიურ კანტონისა და ნახევარ კანტონისაგან შესდგება. იგი **ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკაა.** კანტონების ტიპიურ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე ცალკე გვექნება ლაპარაკი.

შვეიცარიაში დღეს მოქმედობს ის კონსტიტუცია, რომელიც 1874 წ. მიიღო ფედერალურმა კრებამ და დაადასტურა ხალხის და კანტონთა უმრავლესობამ.

ცალკე, მთავრობისაგან განზე მდგარი პრეზიდენტი, აღჭურვილი განსაკუთრებული უფლებით და პრივილეგიით, შვეიცარიის რესპუბლიკას არ ჰყავს. ფედერაციის ან უკეთ (როგორც კონსტიტუცია უწოდებს) კონ-ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლება ჩაბარებული აქვს საკავშირო ანუ **ფედერალურ საბჭოს,** შვიდი კაცისაგან შემდგარს, რომელსაც სამი წლით ირჩევს **ფედერალური კრება, (პარლამენტი).** ამ ხნის განმავლობაში ის შეუცვლელი და გადაუყენებელია. ფედერალური კრების წინაშე იგი პოლიტიკურათ პასუხის მგებელი არაა, ე. ი. ნდობა-უნდობლობის გამოცხადების და მთავრობის გადადგომის საკითხი არ არსებობს. მთავრობა საქმიანობის პრინციპზე დგება. გადაუდგომლად ემსახურება პარლამენტს. პარლამენტარიზმი ეუცხოვება კონფედერაციის თანამედროვე სახელმწიფო უფლებას. იურიდიული პასუხისმგებლობა რა თქმა უნდა არის: ფედერალური საბჭო (მთავრობა) შეიძლება მთელად თუ ნაწილობრივ ზედიზედ იქმნეს არჩეული.

ფედერალურ საბჭოს თავმჯდომარეობს კონფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც ერთი წლით ირჩევს ფედერალური კრება ფედერალურ საბჭოს წევრებიდან. **ერთი და იგივე პირი არ შეიძლება ზედიზედ არჩეულ იქნეს კონფედერაციის პრეზიდენტად.**

შვეიცარიის პრეზიდენტს რაიმე საგანგებო უფლებები არ აქვს მინიჭებული. იგი მთავრობის, როგორც კოლეგიალური დაწესებულების თავმჯდომარეა. მისი მდგომარეობა უფრო საპატიოა. პირველია თანასწორთა შორის.

ასეთია შვეიცარიის მთავრობა. ის აღმასრულებელი ორგანოა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ასრულებს რასაც ადგენს ფედერალური კრება. აქვს უფლება საკანონმდებლო ინიციატივის, აქვეყნებს კანონებს. სდებს საერთაშორისო ხელშეკრულებას პარლამენტის დასტურით უძღვება საგარეო პოლიტიკას და სხ.

შვეიცარია, როგორც ნამდვილი ისტორიული დემოკრატიული ქვეყანა აკვანია თავისუფლების. მოქალაქის ხელშეუხებლობა და სხვა ყოველგვარი უფლება უღრესად უზრუნველყოფილია.

პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან: **ნაციონალური საბჭო და სახელმწიფოთა საბჭო,** რომელთაც საერთო სახელი აქვთ: **ფედერალური კრება.**

ნაციონალურ საბჭოს ირჩევს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით მთელი შვეიცარიის ხალხი, აღებული მთლიანად. თვითეული დეპუტატი მოსდის 20.000 მცხოვრებზე. ქალთა საარჩევნო უფლება არ არის ცნობილი, ეს დიდი ნაკლია ამ დემოკრატიისა. ნაციონალური საბჭოს საარჩევნო ვადა სამი წელიწადია· ყოველი ამრჩეველი შეიძლება იქნეს არჩეული. გამონაკლისს შეადგენს სამღვდელოება.

სახელმწიფოთა საბჭო კანტონთა თანასწორობას სახავს. ისეთივე ფედერატიული ბუნების დაწესებულებაა, როგორც ჩრდ.-ამერიკის სენატი. სახელმწიფოთა საბჭოში 44 წევრი ითვლება, თვითეული კანტონი თავის მიერ შემუშავებული წესისამებრ გზავნის ორს, ხოლო ნახევარი კანტონი თითო წევრს.

ფედერალური კრება (პარლამენტი) ერთად ერთი საკანონმდებლო ხელისუფლება როდია. შვეიცარიაში თვითონ ხალხი ღებულობს კანონმდებლობაში მონაწილეობას. ამისთვის არსებობს **ინიციატივა და რეფერენდუმი,** ორი განსაკუთრებული ხალხური უფლება, რომელიც კონფედერაციის წყობილებას აახლოვებს პირდაპირ დემოკრატიასთან. ჩვეულებრივ საკანონმდებლო სფეროში

არის არასავალდებულო ანუ ფაკულტატიური რეფერენდუმი.

სამოსამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკავშირო სასამართლო და კანტონალური სასამართლოები.

კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება, მიღებული ორივე პალატის მიერ, უნდა მოიწონოს და დაადასტუროს მთელი ხალხის და კანტონების უმრავლესობამ. თუ მხოლოდ ერთი პატარა ან 50,000 შვეიცარიელი მოქალაქე მოითხოვს კონსტიტუციის გადასინჯვას, მაშინ საკითხი გადაიშინჯოს თუ არა, უნდა გადაეცეს ხალხს გადასაწყვეტად. ხალხის პასუხი გადასინჯვის სასარგებლოდ იწვევს ახალი საბჭოების არჩევას გადასინჯვის მოსახდენად. ყოველ შემთხვევაში მიღებული ცვლილება, გადასინჯული კონსტიტუცია უნდა მოიწონოს და დაადასტუროს მთელ ხალხის და კანტონთა უმრავლესობამ. **საკონსტიტუციო საკითხებში არსებობს სავალდებულო რეფერენდუმი.**

კანტონთა კონსტიტუციებს ამტკიცებს ფედერალური კრება. უკანასკნელი მათ უზრუნველყოფს, თუ არ ეწინააღმდეგებიან კონფერენციის კონსტიტუციას, იცავენ რესპუბლიკანურ მართველობის ფორმას და ცნობენ ხალხის პირდაპირ უფლებას კონსტიტუციურ გადასინჯვის საქმეში.

შვეიცარიის თვითმართველურათ წყობილება მეტად დემოკრატიულია. თვითმართველობის საფუძველია ავტონომიური კომუნა, რომელიც პატარა ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენს. ამაზე ვილაპარაკებთ კანტონის წყობილების განხილვისას.

შვეიცარია ნეიტრალი სახელმწიფოა. მსხვილი მრეწველობა, ზოგიერთ კანტონებში მაინც, გვარიანათ განვითარებულია. მაგრამ საერთოდ აღებული შვეიცარია უმთავრესად წვრილ მესაკუთრული ქვეყანაა. ხალხი მშვიდობიანია და მომქმედი. როგორც ვთქვით, ისტორიული დემოკრატიაა. სოციალისტები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდენ პრაქტიკულ მუშაობას მუნიციპალურ და თვითმართველურ ორგანოებში. ომამდე მათი საერთო მიმართულება უფრო პრაქტიკულ-ოპორტუნისტული იყო. ომის შემდეგ შვეიცარიის სოციალიზმში გაძლიერდა რადიკალიზმი...

**ნ. საქარელი.**

(შემდეგი იქნება).

შვილი და რუსეთის დელეგაციის მხრივ ზარიანი. ისინი ოაათვალიერებენ კონცენტრაციულ ბანაკს და გამოარკვევენ, თუ რომელ დაკავებულს სურს საბჭოთა რუსეთში წასვლა. გამოირკვა, რომ ფოთში დაახლოვებით 500 დაკავებულთაგან მხოლოდ 20 კაცმა შეავსო საანკეტო ფურცელი. დანარჩენმა არ გამოსთქვეს სურვილი საბჭოთა რუსეთში წასვლისა.

**ახალციხიდან** დამფ. კრების წევრი თ. კიკვაძე იუწყება: ქვემო და ზემო აჭარის მცხოვრებთა სახელით მრავალ რიცხოვანი დელეგაცია მთხოვს გადავცე მთავრობის თავმჯდომარეს მხურვალე სალამი. აჭარა ფიცსა სდებს, რომ იგი მთელ რესპუბლიკასთან ერთად გაიზიარებს ჭირსა და ლხინს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს დამოუკიდებელ საქართველოს დასაცავად.

**შავი ქვის გატანა.** თანახმად შავი ქვის მრეწველთა საექსპორტო საზოგადოების ცნობებისა რესპუბლიკის ტერიტორიიდან 15 დეკემბრიდან ივლისის შუა რიცხვამდე სულ 70.000 ტონი, ე. ი. 4.500.000 ფუთი შავი ქვა გაუტანიათ. ამ ჟამად დაახლოვებით 23.000 ტონი შავი ქვით იტვირთება ფოთში ინგლისის და იტალიის გემები, „ჩემო" მიღებულ ცნობების თანახმად ფოთის ნავთსადგური იმდენად გაღრმავებულია, რომ იქ ოკეანის გემებსაც შეუძლიათ შესვლა.

**განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირი.** შაბათს, 17 ამ თვეს მუშათა კლუბის საზაფხულო ეზოში პლეხანოვის ქ. 93, ღამის 3 საათამდე გამართავს კავშირის ფონდის გასაძლიერებლათ გრანდიოზულ საღამოს, სეირნობით, ფართო პროგრამით. დაუკრავს ორკესტრი და საზანდარი. იქნება ბუფეტი, ლატარია-ალეგრი, ამერიკული აუქციონი და სხვადასხვა გასართობები.

**ახალ-ქალაქიდან** მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო. მრავალ-რიცხოვან მიტინგზე მოვისმინეთ რა ი. რამიშვილის მოხსენება შინაურ და საგარეო პოლიტიკის შესახებ, ვიწონებთ დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის პოლიტიკას და ვუსურვებთ მას გამარჯვებას ყოველ საქმეში დემოკრატია სიხარულით ხვდება ბათომის შემოერთებას და გულწრფელად ხელს უწვდის მომმე აჭარლებს. იმავე დროს მიტინგმა დაადგინა მიესალმოს გმირ გვარდიასა და ახალგაზრდა ჯარს. ახალქალაქის დემოკრატია იმედს გამოსთქვამს, რომ გვარდია და ჯარი იქნება საიმედო დამცველი საქართველოს დემოკრატიისა. დაბოლოს გადაწყდა მიესალმონ საერთაშორისო მუშათა კლასს, რომელმაც პირველმა აღიარა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

**ვლ. ალექსი—მესხიშვილის და ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით შაბათს, 17 ივლისს, ქართულ კლუბში, საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობაზე ქართულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ჰარტმანის 3 მოქ. დრამა „შეშლილია", რის შემდეგ გაიმართება დიდი ბალეტი. დაწვრილებით აფიშებში.

**ქურდობა.** 13 ივლისს, ღამით ყიფიანის ქუჩაზე 29 გაქურდეს პოეტის ნ. ჩხიკვაძის ოჯახი. წაიღეს თითქმის ყველაფერი.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

პარასკევს, 16 ივლისს, სად. 4 ს., ავლაბრის მუშათა კლუბში მოწვეულია ს. ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება. განსახილველი საკითხებია: 1) პარტიული მუშაობა; 2) ს. ს.-დ. მ. პარტიის მეორე ყრილობის დადგენილებები. კრებას დაესწრება ამხ. ნოე რამიშვილი. პარტიის წევრთ ევალებათ გამოცხადდენ კრებაზე პარტიული წიგნაკებით.

— პარასკევს, 16 ივლისს, სად. 6 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ქალაქის თვითმართველობის და ქალაქთა კავშირის წარმოებებში და დაწესებულებებში მომუშავე საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები. კრებაზე შესვლა შეიძლება მხოლოდ საწევრო ბარათებით.

## შემაძრწუნებელი შემთხვევა
### 1-ლ სასურსათო საწყობში

12 ივლისს, საღამოს 5 საათზე 1-ლ სასურსათო საწყობის ეზოში მოხდა საშინელი, შემაძრწუნებელი შემთხვევა, რომელმაც იმსხვერპლა ოთხი—წვრილ შვილებიანი მუშა.

საწყობის გამგეს ბ-ნ ანდრო რამიშვილს, როგორც საწყობების სრული ბატონ-პატრონს, ჰყოლებია (ცხადია საწყობის ხარჯზე) შიგ ცხოველების და ფრინველების ჯოგი. ბ-ნ რამიშვილის ბრძანებით მეჯინიბე მუშებს დავალებული ქონიათ ბ-ნ ანდრო რამიშვილის ცხოველ-ფრინველების მოვლა თვალყურის დევნება. ყოფილა ისეთი რიგი შემთხვევებისა, რომ ბ-ნ რამიშვილს მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ღორს თავის გოჭი გაუჭყლეტია ღამე, გოჭის ფასი მუშისთვის უზღვევინებია და ადგილიდანაც დაუთხოვია. მეორე შემთხვევა ასეთია: ფურგუნმა გოჭი გაჭყლიტა, გაჭყლეტილი გოჭი დააკლეს და ბაზარში გრიშა ხატისოვს 400 მანეთათ გააყიდვინეს, მეღორეს კი 400 მანეთი აზღვევინეს და ადგილიდანაც დაითხოვეს. უბედური შემთხვევა, რომელიც მოხდა 12 ივლისს სასურსათო საწყობში და რომელმაც იმსხვერპლა ოთხი წვრილ ცოლშვილიანი მუშები შემდეგნაირათ მომხდარა: გამგის ბ-ნ ანდრო რამიშვილის გოჭი ჩავარდნილა ფეხის ადგილში. რამიშვილის რისხვის შიშით დაუძახეს მუშებს—მეჯინიბეებს, სისო არუთინოვს და გიორგი ჩიტაძეს, რომ გოჭი გადაერჩინათ. პირველად ფეხის ალაგის ორმოში საქმის მწარმოებლის განკარგულებით ჩავიდა არუთინოვი, რომელიც შიგ ჩაიხრჩო, მას მიეშველა დავით ავალიშვილი, ისიც შიგ ჩაიხრჩო. უკანასკნელის ყვირილზე მიეშველა პეტრე იორდანაშვილი და თეოფილე გამცემლიძე, რომელნიც ცოცხალმკვდარი ამოიყვანეს.

აღნიშნავს რა ზემოხსენებულ სამწუხარო ამბავს, განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის გამგეობა იმედოვნებს, რომ ზემოხსენებულ ბ-ნ ანდრო რამიშვილის და მის დამქაშების საგმირო საქმეებს, რაზედაც არა ერთხელ და ორჯელ გაფრთხილებია კავშირის წარმომადგენელს და მას კი ყურადღებაც არ მიუქცევია,—სათანადო ყურადღება მიექცევა, ერთხელ და სამუდამოთ მოაშორებენ ასეთ მავნე პირებს მუშებს და მისცემენ მათ სასტიკ პასუხისგებაში.

**კავშირის პრეზიდიუმი.**

## საქართ.-რუსეთის კომისია სამხ. გარანტ. შესახებ

13 ივლისს შესდგა მორიგი სხდომა შერეულ საქართველო-რუსეთის კომისიისა სამხედრო გარანტიების შესახებ. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ლ. რეზერმა განაცხადა, რომ იგი დაელაპარაკა თავის მთავრობას ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესახებ, რომელმაც სხვადასხვა განმარტება გამოიწვია და რომელიც სამხედრო ქონებას და დაჭერილთა გადაცემას შეეხება, რუსეთის მთავრობა და დელეგაცია კვლავ იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ ეს მუხლი შეეხება სამხრეთ-რუსეთის შეიარაღებულ ძალების გადმოსვლას, რომელიც ამ ხელშეკრულების ხელის მოწერამდე, ან მის შემდეგ მომხდარა.

ამასთანავე კითხულობენ რუსეთის დელეგაციის განცხადებას, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის მოთხოვნილების უფლებრივ საფუძველს იმ ობიექტებზე, რომელნიც ჩამოთვლილია ხელშეკრულების 5 მუხ. 1 და 3 პუნქტში წარმოადგენს ის დებულება, რომ იქ აღნიშნული სამხედრო და საზღვაო-სამხედრო ნაწილები წარმოადგენენ აჯანყებულებს და მაშასადამე, მთელი ავლადიდება მათ ხელთ ჩაუგდიათ სახელმწიფოს წინაღმდეგ ბოროტმოქმედების ჩადენით. ამიტომ რუსეთის დელეგაციის თვალსაზრისით ამ ქონების მესაკუთრე არის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. საქართველოს ზავის დადებამდე ამ აჯანყებულებისათვის შეეძლო არ ეცქირა, როგორც მეომარ მხარისთვის და მათი გადმოსვლის შემდეგ საქართველოს საზღვრებამდი მან შეასრულა თავისი მოვალეობა, როგორც ნეიტრალურმა მხარემ და მაშასადამე, გადაცემული იარაღი მას შეეძლო შეენახა ომის გათავებამდე. ხელშეკრულობის დადების დღიდან, როდესაც საქართველომ რუსეთის ერთად-ერთ კანონიერ მთავრობათ იცნო საბჭოთა მთავრობა, რუსეთის რესპუბლიკის უფლება მთელი ქონების გადაცემაზე გამომდინარეობს იმავე საფუძვლებიდან, რომელზედაც სულ მუდამ იდგა რუსეთის დელეგაცია, ამიტომ რუსეთის დელეგაცია თავის მთავრობიდან მიღებულ ჩვენებების თანახმად აცხადებს, რომ საზავო ხელშეკრულების სწორი შინაარსის და მიზნის მიხედვით 5 მუხ. ვრცელდება ყველა სამხედრო და საზღვაო სამხედრო ნაწილებზე, კომანდებზე და ჯგუფებზე, რომელნიც აღნიშნული არიან ამ მუხლში, მიუხედავათ იმისა, თუ როდის გადმოვიდენ ისინი საქართველოს ხელში და მთელი მათი ქონება ჯილდოს მიუღებლათ უნდა გადაეცეს რუსეთის რესპუბლიკას.

ამის საპასუხოთ საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარემ ს. გ. მდივანმა სთქვა: 1) რუსეთის დელეგაციის განცხადების საწინააღმდეგოთ უნდა განვაცხადო, რომ ხელშეკრულების „განმარტებაში" პრიორიტეტი ეკუთვნის რუსეთის და არა საქართველოს დელეგაციას, რომელიც საერთოდ გაურბოდა განმარტებას და მისდევდა მხოლოდ ხელშეკრულობის პირდაპირ აზრს; 2) რუსეთის დელეგაციის განცხადებაში არ არის აღნიშნული ორი არსებითი მომენტი, სახელდობრ: განცხადებული იყო წინათ, რომ რუსეთის დელეგაცია არ მოითხოვდა დაკავებულთა გაცემას, ამის გარდა რუსეთის დელეგაცია მაშინვე დასთანხმდა იმას, რომ მისი აზრი მე-5 მუხ. შესახებ შეურყეველი იქნება, თუ საქართველოს დელეგაცია დაამტკიცებს, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, როდესაც გადმოსვლები ხდებოდა, საქართველო ფაქტიურათ დენიკინთან საომარ განწყობილებაში იმყოფებოდა.

ამაზე რეზერმა განაცხადა, რომ იგი სცნობს ყველა შეზღუდვას პირადი შემადგენლობის შესახებ, გარდა იმ გადმოსვლებისა, რომელიც მოხდა საზავო ხელშეკრულების დადების მახლობელ დღეებში, ე. ი. დაახლოვებით 5—6 და 7 მაისს. რაც შეეხება მეორე კითხვას, მას აქვს უმთავრესად პრაქტიკული მნიშვნელობა, თუ კომისია შეეხება ხელშეკრულობის საერთო აზრს, მაშინ შეიძლება განვიხილოთ ის, თუ რამდენათ სცვლის ომიანობის მდგომარეობა მიღებულ დებულებებს. კამათის დასრულების შემდეგ სხდომა შესწყდა. საქართველოს დელეგაცია წერილობით პასუხს წარადგენს (სდს).

## კომუნისტი ჟანდარმი
(მცირე შენიშვნა.)

„ერთობის" 155 ნუმერში ბაქოს „კომუნისტიდან" ამხ. ვინ.-ს მოჰყავს ერთი ადგილი წითელხიდის ფრონტის შესახებ, სადაც ბაქოელი ბოლშევიკები ჩვენს გვარდიაზე ამბობენ რომ ის „შემდგარია ძველი ჟანდარმებისა, ჩინოვნიკებისა და ნაძირალა ყაჩაღებისაგან"-ო.

ამ სიტყვების ამოკითხვამ უმალვე გამახსენა თქმულება: ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო. გამახსენდა აგრეთვე ერთი შეხვედრა.

26 მაისს სოფელ შიხილოში, სოფლის სკოლის შენობაში შევხვდით ერთმანეთს საკანტროლო კომისიის წევრები 6 კაცი, სამ სამი ორივე მხარედან იმ ზომების გამოსამუშავებლათ, თუ როგორ უნდა გვედევნებია თვალყური ნეიტრალურ ზონაში დროებითი პირობების დაცვისათვის. იქვე მოვიყვანეთ თითო ასეული ამ საქმისათვის. კრება გახსნილი გვქონდა, როცა ჩვენი „პოსტიდან" გვარდიელი მოვიდა (ჩვენი ჯარი და „პოსტები ჯერ კიდევ არ იყო მოხსნილი დაკავებული ტერიტორიიდან) და მითხრა: პოსტზე ორი წითელი აფიცერი მოვიდენ და ითხოვენ გამოუშვათ აქ თქვენთან კრებაზეო. ჩვენ ვუთხარით, არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო თქო, და ცოტა ხანს შემდეგ ისინიც მოვიდენ. ერთი მათგანი აღმოჩნდა „წითლების" ბატარეის უფროსი, თფილისელი ვოლკოვი, რომელსაც თფილისში დები და დედა ყოლოდა და იქ წასვლა სწყუროდა (შვიდი წელია არ მინახავსო). ის არ მალავდა, რომ კომუნისტი შემთხვევით იყო და საზოგადოთ ყველაფერზე გულახდილათ გველაპარაკებოდა. სამაგიეროთ ძალიან ჩუმად იყო მეორე, რომელმაც გაცნობის დროს რაღაც გვარი წაილუღლუღა. ამავე დროს ძალიან ყურს უგდებდა ჩვენს ლაპარაკს და უსიტყვოთ, თავის ქნევით გვეთანხმებოდა ყველაფერზე. კომისიის სხდომის გათავების შემდეგ, მანამ ოქმებს გადაწერდენ, ჩვენ კიდევ გავერთეთ ლაპარაკში. ერთი ყვირილელი გვარდიელი, ამხ. ფერაძე ისეთივე ინტერესით უცქერდა იმ ჩუმ კომუნისტს, როგორითაც ის ჩვენ გვათვალიერებდა. ბოლოს ფერაძემ მიახედა ის თავისკენ და ჰკითხა:

— ამხანაგო, თქვენ წინათ ქუთაისში ხომ არ გიცხოვრიათ?

— არა, ქუთაისში მე არასოდეს არ მიცხოვრია.

— როგორ არა, მე თქვენ გხედავდით ხოლმე ქუთაისში.

— რომელ წელში?

— ადრე, რევოლიუციამდე. თქვენ ნასკოვი არა ხართ გვარათ?

— არა, მე ნასკოვი არა ვარ... მგავს კი მე... ნასკოვი... ხო, მე იმას ვიცნობ, ის მე ძალიანა მგავს.

— მაშ მე არ შევმცდარვარ; თქვენ ქუთაისში მინახავხართ... რა ადგილი გეჭირათ იქ?

— მე... მე იქ ჯარში ვმსახურობდი, ფელდფებელი ვიყავი და სხვა.

მათ კიდევ გააგრძელეს ლაპარაკი. ჩვენ კი მიგვაბრუნეს მდივნებმა და უკვე გადაწერილი ოქმი წაგვიკითხეს. მე სულ დამავიწყდა ამხ. ფერაძისა და წითელ აფიცრის საინტერესო მუსაიფი. მომაგონდა მხოლოდ მაშინ, როცა აფიცრები უკვე წასულიყვენ. ფერაძემ მომაგონა ეს გვარი. ან უამისოდაც როგორ ვერ მოვიგონე—ვინ იყო ნასკოვი. მისი სახელი ხომ ქუთაისის გუბერნიის ყველა რევოლიუციონერს ქონდა გაგონილი. რამდენი ამხანაგი გამგზავრებულა ციხეში, ციმბირში და სახრჩობელაზეც მისი წყალობით; რამდენი ციხეშიც არ მიუყვანია სიმონა ჟანდარმს! სიმონა ჟანდარმი! განა ცოტა ბოლშევიკის ოჯახი აუწიოკებია მას ქუთაისში? და ეხლა ეს სიმონა კომუნისტია. მე პირადათ არ ვიცნობდი მას. შევხვდი მხოლოდ ერთხელ, როცა (რევოლიუციის პირველ თვეებში) ფრონტიდან ჩამოიყვანეს დაჭრილი. (ის სხვა ჟანდარმებთან ერთად რევოლიუციის მეორე დღესვე წასულიყო ფრონტზე) შემდეგ ტყვეობიდან განთავისუფლეს და ისევ ფრონტზე გაგზავნეს. იქიდან კომუნისტად მოვლენია რუსეთს და შემდეგ ადერბეიჯანს, საიდანაც ქუთაისში მოდიოდა სოციალიზმის დასამყარებლად. ისევ ისე ჩასუქებულია; ეტყობა იქაც მარჯვეთ მოქმედებს, რომ სხვა წითელ არმიელებივით არ ჩამომხმარა და არ ჩაყვითლებულა.

ეს ამბავი მე ვუთხარი ერთ კომისიის წევრს, რომელმაც გულგრილათ მომისმინა. მე ეჭვი შემივიდა და ვკითხე:

დიდი ხანია, ამხანაგო, რაც შენ კომუნისტების პარტიაში მუშაობთ? რაზედაც მან ისევ გულგრილად მიპასუხა:

— არც ეხლა ვარ კომუნისტი.

— მაშ როგორ მოხვდი მათი გუნდის უფროსათ?

— ჯარში ვიყავი. ჯარი გაბოლშევიკდა. მეც ბოლშევიკი გავხდი.

— კი, მაგრამ მაგ გულზე რომ წითელ ნიშანს ატარებ და ზედ რომ დაგიწერია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო"?

— ეს ბრძოლაში თავის გამოჩენის ნიშანია, ტყვიისმფრქვეველი წავართვი მტერს და მომცეს, ზედ რა სწერია რა მენაღვლებაო.

შემდეგში ორივე ამბავი მე ვუამბე ერთ წითელ არმიელს, გულწრფელ მუშას—მეჩექმეს, რომელმაც გულისტკივილით მითხრა: „მაგისთანეები ბევრი არიან ჩვენში და ჩვენი უბედურებაც ეგაა"-ო.

ეხლა კი ბოლშევიკები გამოლმა გვედავებიან და ჩვენს გვარდიელებს უძახიან ჟანდარმებს. დიახ, ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო.

ნეიტრალურ ზონაში არსებულ შერეულ კომისიის ყოფილი წევრი **ზ. გურული.**

P. S. მკითხველებს მოვაგონებ, რომ ნეიტრალურ ზონაში მდგარმა ჩვენმა გუნდმა თავის დროზე მოუწოდა ქართველ კომუნისტებს ჩამოსულიყვენ და თავის თვალით ენახათ იქ მდგარი ჯარი, მათი სულიერი ავლადიდება და განწყობილება, მაგრამ მაშინ ყურსა ბამბისასა, ხოლო ეხლა ბაქოდან „აფასებენ" ყველაფერს. **ზ. გ.**

## პროტესტის შეთხზვა და მუშების დატყუილება

ამას წინად „ერთობაში" მქონდა პატარა შენიშვნა ქალაქთა კავშირის სტამბის მომუშავეთა შორის მომქმედ რამდენიმე კომუნისტის შესახებ. ვამბობდი: ესენი ძირს უთხრიან ჩვენს რესპუბლიკას თავიანთი მოქმედებით და მრავალგვარი ცილისწამების გავრცელებით-თქო.

ერთ ასეთ ახლად გამომცხვარ კომუნისტად ვასახელებდი ასოთ-ამწყობ ალშევსკის და ბრალდებად ვუყენებდი ტყუილ ხმების გავრცელებას მუშათა შორის. შემდეგ ვუმტკიცებდი: კომუნისტების მოახლოვების გამო იგი „კომუნისტობს", დენიკინი რომ ჩვენში შემოჭრილიყო, ალბად, დენიკინელად მოგვევლინებოდა-თქო.

მე განზრახ არ ვახსენე იმ შენიშვნაში ერთი ქუთათური ასოთ-ამწყობი, რომლის „მოღვაწეობა" ქუთაისში შავი ლაქით დასრულდა და თფილისს შემოაფარა თავი. მბეჭდავთა კავშირი არ იღებდა მას წევრად, და რომ მისი ოჯახური მდგომარეობა არ მიეღო მხედველობაში, დღესაც „თავისუფალი" პროფესიის მუშა იქნებოდა. იგი მილიციაშიც შევიდა, მაგრამ ადრე დაითხოვეს, რაკი გაიგეს მისი ამბავი.

დღეს ეს ვაჟბატონი კომუნისტობს და დამცველად გამოდის ჭეშმარიტ კომუნისტებისა.

ჩემს შენიშვნას იგი გაუბრაზებია, აუღია პროტესტი ალშევსკის ვითომდა დენიკინელად წოდების გამო და გაუგზავნია „კომუნისტში". მუშებს ეუბნებოდა: ვინც სცნობთ, რომ ალშევსკი დენიკინელი ალშევსკი არ არის, ხელი მოაწერეთ ამ პროტესტსო. ერთს ისიც ეთქვა—დენიკინელი არ ვიცი, მაგრამ ნაციონალისტი კი არისო. ზოგს დაემუქრა თურმე პროტესტის ავტორი.

უმთავრესად ხელი მოაწერინა არა ქართულის მცოდნეთ, რომელთაც „პატიოსანმა მუშამ" ისე აუხსნა იმ შენიშვნის შინაარსი, რომ სინამდვილეს სრულიად არ ეთანხმებოდა.

ვამტკიცებ, რომ ხელის მომწერთა დიდი უმრავლესობა შეცდომაში შეყვანილი და ამას ბევრი მათგანი არც მალავს.

კარგი იქნებოდა პროტესტის ავტორს ბრალდება არ მიეფუჩეჩებია და სწორედ დაესვა კითხვა, მაშინ შეიძლებოდა გამორკვევა, რამდენად წმინდა წყლის სოციალისტია ალშევსკი და მისნი მათნი. ახლა კი მოვახსენებ მათ: ჩვენი რესპუბლიკის მტრები ფრთხილად უნდა იყვნენ, პროვოკაციას არ უნდა ეწეოდენ და მით ხელს არ უნდა უწყობდენ გარეშე მტრებს, თორემ ბოლოს მიხვდებიან მუშები და კარგ დღეს არ დააყრიან თავიანთ წითელ ქურქიან მოღალატეთ. **მუშა ასოთ-ამწყობი.**

## დაეხმარეთ ინვალიდებს

თფილისში ჩამოვიდა რუსეთიდან ევროპაში საერთაშორისო კონგრესზე (ჟენევაში) მიმავალი დელეგაცია 4 კაცისაგან შემდგარი. ეს პირნი არიან წარმომადგენელნი რუსეთის ინვალიდების საზოგადოებისა. დელეგაციის მიზანია—კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მიღება და აგრეთვე შესწავლა იმისა, თუ როგორ არის დაყენებული იქ ინვალიდების მიერ სხვადასხვა ხელობათა შესწავლის საქმე. მიზანი ფრიად სიმპატიურია, მაგრამ თუ ისინი კვლავაც ისე სცარცვეს, როგორც დენიკინის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ისინი შეიძლება ვერც კი ჩავიდნენ ამ მოკლე ხანში ევროპაში. დენიკინის სამეფოში ისინი დაატუსაღეს და გამოუშვეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა წაართვეს 900 გირვანქა სტერლინგი, რაც კაპეიკობით ჰქონდათ მოგროვილი ინვალიდებს. ევროპაში მათ მიექცევათ სათანადო ყურადღება იქ არსებულ ინვალიდების კავშირის მიერ, მაგრამ საკითხია, თუ როგორ მიაღწიონ ევროპას დღევანდელ სიძვირეში.

ამიტომ რამდენიმე პირს დაებადა აზრი—გამართოს იმათ სასარგებლოთ კონცერტი. არ შეიძლება სრული თანაგრძნობით არ მოვეპყრათ ამ იდეას; თფილისის საზოგადოება, როგორც მას სჩვევია, თავის დასწრებით, უეჭველია, ხელს შეუწყობს ამ საღამოს, რომლის შემოსავლის მიზანი ასე სიმპატიურია.

საღამო-კაბარე განზრახულია გაიმართოს სომხურ კლუბში (პლეხანოვის პრ.) კვარას, 19 ივლისს.

**ნ. არდიშვილი.**

## ორიოდე სიტყვა მდ. რიონზე დამბის მოწყობის შესახებ.

ჩვენი რესპუბლიკის დემოკრატია დიდ ნაბიჯებს აკეთებს სახელმწიფოს აღმშენებლობითი საქმეში. სკოლა, მიმოსვლის გაუმჯობესება, მდინარეთათვის სათანადო კალაპოტის მიცემა, გზების გაფართოება-შეკეთება, ჭაობიანი ადგილების გაშრობა, ელექტრონის ძალების მოწყობა-ამუშავება და სხვა მრავალი კულტურული თუ ეკონომიური დაწესებულებების მოწყობა—ეს დღიურ კითხვათ არის დასმული რესპუბლიკის თემებში, ქალაქებში, ერობებში თავისი წვრილი ერთეულებით, რაზედაც სათანადო შრომა იხარჯება. ამ შრომას სასურველი ნაყოფიც მოაქვს. აღსანიშნავია ჩვენი დემოკრატიის პირდაპირი და უშუალო მონაწილეობის მიღება ამ დიდ სახელმწიფოებრივ მუშაობაში. მხოლოდ ტექნიკური ძალებით თუ შველის ჩვენი მთავრობა და ადგილობრივი თვითმართველობები, დანარჩენს და უმძიმეს შრომას ეწევა ჩვენი მუშა ხალხი ნატურალური ბეგრის სახით. ასეთი ნატურალური ბეგარით გაკეთდა დიდი და საშვილიშვილო საქმე—რიონზე დამბა არის. არის მდინარეები, რომელნიც თავის თვისებებით ზიანს აყენებს ხალხს. მდ. რიონი ამ მხრით განსაკუთრებული თვისებების არის. ის თითქმის ყოველ წლიწადს ანადგურებს გურია-სამეგრელოს. როდესაც ადიდდება (მდინარის ადიდება იწყება უმთავრესად გაზაფხულიდან შემოდგომამდე, ხვნა თესვის დროზე) და სტოვებს თავის კალაპოტს, ის ედება გურია-სამეგრელოს მინდორ-ველებს, ფარავს მას და სავსებით ანადგურებს და ალპობს ყანებს განსაკუთრებით კი ახლად დათესილს. გასულ 1919 წელს რიონმა სამჯერ გადალახა თავისი კალაპოტი და სამივეჯერ გაანადგურა ყანები. მეოთხეჯერ დათესვა ყანების კი გვიანი იყო. ამან ხალხი, რასაკვირველია, დიდ საგონებელში ჩააგდო. თუმცა დიდი ხანია განზრახული იყო გაეკეთებიათ დამბა რიონზე, ეს კიდევ ნიკოლოზის დროს, მაგრამ ძველ რეჟიმს ამისთვის არ სცხელოდა. გასული წლის ასეთმა სისასტიკემ ქ. ლანჩხუთის მცხოვრებლებში ენერგიულათ წამოაყენა კითხვა რიონზე დამბის მოწყობის შესახებ. ეს კითხვა პირველათ აღიძრა ლანჩხუთის ს.-დ. პ. კოლექტივში, კოლექტივიდან გადავიდა ქალაქის საბჭოში და ქალაქის გამგეობის მოხსენების თანახმად გადაწყდა აღძრულ იქნას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ტეხნიკური ძალების დახმარების შესახებ. შავი მუშაობა კი დაეკისრა ხალხს. შედგენილ იქნა სათანადო გეგმა სპეციალის ინჟენრებისაგან, რომელნიც იმ ხანათ მუშაობდნენ ლანჩხუთში ქალაქის გეგმის გადასაღებათ. გეგმა წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად. მთავრობამ გეგმა დაამტკიცა. მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისრა ქ. ლანჩხუთის ინჟენერს ბ. კენეცკის. მთავრობამ დახმარების სახით გადასდო ამ საქმისთვის ერთი მილიონი ორთავე ნაპირების გასამაგრებლათ. ეს რასაკვირველია, წვეთი იყო ზღვაში. ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობას, რომლის სალაროდან იხარჯებოდა ფული, ამ თანხაზე მეტი აქვს დახარჯული. საქმის საერთო ხელმძღვანელობა, მაგ. ხალხის გამოყვანა სამუშაოზე და სხვ., დაკისრებული აქვს კომისიას ოზურგეთის სამაზრო ერობის, ქ. ლანჩხუთის და დაინტერესებული თემების წარმომადგენლების სახით. უნდა აღვნიშნოთ სასახელოდ ზემოთ დასახელებულ ინჟენერისა, რომ მან დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა, თუმცა ჯერ დამბა სავსებით არ არის გაკეთებული (გასაკეთებელი იყო 30 ვერსამდე. გაკეთებული არის 27, დარჩა 3 ვერსი) საინტერესო სანახაობა იყო მუშების გამგზავრება რიონზე სამუშაოდ. ერთმანეთს ეცილებოდნენ. დარჩა რამოდენიმე ულირსი მოქალაქე. ამათ წინააღმდეგ სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული. დამბას სიმაღლე აქვს ერთი საჟენი, განი კი 3 საჟენი. წელს წყალდიდობა დამბის გაკეთების შემდეგ ორჯერ იყო ორივეჯერ დამბები გაუმაგრდა და გადაარჩინა ხალხი განადგურებას. ინჟენრის გამოკვლევით წლევანდელი წყალდიდობა აღემატებოდა გასული წლებისას ერთით არშინით. დიდი ნერვიულობა იყო, ხალხში ვაი თუ გადალახოს დამბებიო საბედნიეროთ ეს შიში არ გამართლდა, რამაც ხალხში აღფრთოვანება გამოიწვია. მოხარულია ხალხი, რომ თავის შრომამ ტყვილად არ ჩაიარა. აქვე უნდა დაუმატოთ, რომ ჯერ კიდევ დიდი შრომა არის საჭირო, მაგ. დამბის შესწორება, მოლონიერება, ამიტომ ხელმძღვანელთ მართებთ კიდევ დიდი ენერგიის გამოჩენა, რომ ეს სახელმწიფოებრივი ხასიათის საქმე კეთილად დააგვირგვინონ. საჭიროა აგრეთვე მთავრობის ყურადღება იქნეს მიქცეული ამ საქმეზე სათანადო დახმარების გაწევით. საჭიროა არ განელდეს ის ხალისი და ენერგია, რომელიც დღემდის არსებობს ხალხში. მე ვფიქრობ, ხალხი კვლავინდებურათ გაიღებს შრომას, თუ კი სათანადო ნაყოფი ექნება მას. ვუსურვოთ მათ გამარჯვება ამ დიდ საქმეში.

**კოტე.**

## „წითელ" პეტროგრადში

ამ დღეებში საბჭოთა რუსეთიდან თფილისში ჩამოვიდა რამოდენიმე ქართველი, რომლებმაც სამშობლოში წამოსვლა მოახერხს. ჩამოსულების უმრავლესობა პეტროგრადში ცხოვრობდა ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღეებიდანვე; ზოგიერთები იძულებულნი იყვნენ საბჭოთა დაწესებულებებში ემსახურნათ; ესენი ბევრ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საბჭოთა რუსეთის ცხოვრებიდან. ერთ-ერთი ჩამოსულთაგანი ბ-ნი კ., იურისტი, რომელიც 3 წელი ცხოვრობდა პეტროგრადში და მხოლოდ ცოტა ხნობით ითვლებოდა სამსახურის საქმეების გამო პროვინციებში,—შემდეგს იტობინება:

მე სამსახურის საქმეების გამო მიმოსვლა მიხდებოდა სხვადასხვა ქალაქებში და გადაჭრით შემიძლია განვაცხადო, რომ არსად ისეთი სასურსათო კრიზისი არ არის, როგორიც „წითელ" პეტროგრადში; ჩემი წამოსვლის დროს (ის გამოსულა პეტროგრადიდან ერთი თვის წინათ) გირვანქა პური (შერია ნარევი) კერძო სავაჭროში ღირდა 500 მან., ხარკოვში ასეთივე პური იყიდება 275 მანეთად, როსტოვში—125 მან., ცხენის ხორცი ღირდა 1300 მან.; ქართოფილი—250 მან. გირვ., ფეხსაცმელი 35—40 ათასი მან., უკანასკნელ ხანებში ფასები საშინლათ გაიზარდა პროვინციაშიც, ვინაიდან მიუხედავათ დიდი თვალყურის დევნებისა,—„მეტომრეობამ" რკინის გზებზე მეტათ ფართო ნიადაგი მოიპოვა; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ახლა ამ ხელობას წითელ არმიელები, მეზღვაურები, მოსამსახურენი და სხვ. აწარმოებენ.

**სათბობ მასალის კრიზისი.** ქალაქის გათბობას მოხმარდა ყველაფერი, რის დაწვაც კი შეიძლებოდა. დასწვეს ხის ღობეები, ბარაკები, ძველი ავეჯეულობა შკაფები და სხვ. ეს ადვილი წარმოსადგენია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ პირველ ხანებში შეიძლებოდა გეშოვათ $^{1}/_{4}$ კუბ. საჟ. შეშა 15,000 მანეთად. სასტიკი ყინვების დროს პეტროგრადში არავითარი სათბობი მასალა არ იშოვებოდა; ლოდვინის მინდორში 36° ნულის ქვემოთ სიცივე იყო.

**გალატაკება.** გალატაკების წინააღმდეგ შესაძლებლობის ფარგლებში იბრძვის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება: გაჭირებულთ იგი თვიურათ 600 მან. ურიგებს, მაგრამ არსებულ სიძვირის პირობებში ეს დახმარება, ცხადია, საკმაო არ არის. სადაც უნდა წახვიდე, თქვენ შეგხვდებათ ადამიანები, რომლებიც დასწლებით თვალებით შეგყურებენ და გიწვდიან ხელს დახმარებისათვის. ასეთ მათხოვართა შორის უმრავლესობას საერთაშორისო ომის ინვალიდები შეადგენენ; ეს მას შემდეგ, რაც სოციალურ დახმარების განყოფილების გამგემ ვინოკუროვმა ბრძანება გასცა „ინვალიდთა კავშირის", როგორც „ანტი-სახელმწიფოებრივ" ორგანიზაციის გაუქმების შესახებ და ინვალიდთა დახმარების საქმე სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას გადაეცა. სახელოსნოები, რომელთა ხარჯზედაც „დასახიჩრებულ მხედართა კავშირი" არსებობდა, დაიხურა და რადგანაც სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილება მეტ ყურადღებას დასახიჩრებულ წითელ არმიელთ აქცევს, ვიდრე ნიკოლოზის დრონდელ მოსამსახურეებს,—უკანასკნელნიც აუტანელ პირობებში მოექცენ.

**საბჭოთა დაწესებულებებში.** როგორც პეტროგრადის, ისე პროვინციების დაწესებულებებში ისევ ძველებური კანცელარიული სული ტრიალებს, გამეფებულია ბიუროკრატიზმი, „ხარისხოსნებისადმი პატივისცემა". ცნობების მოცემას მეტათ აძნელებენ; თვითეულ კარზე შეხვდებით წარწერას: „მოუხსენებლათ შესვლა აღკრძალულია". ბევრს ლაპარაკობენ იმ ფუფუნებაზე, რომელშიაც საბჭოთა კომისრები ცხოვრობენ.

„მმართველთა კლასი, ჩვენი ახალი ბურჟუაზია, მოურიდებლათ რთავს თავის ქალებს ბრილიანტებით",—გაიგონებთ „ობივატელის" ჩივილს. უხალხო, უსიცოცხლო ქუჩებში ხშირათ მიმოქრის ავტომობილი, რომელსაც არავითარი „საქმიანი ხასიათის" დავალება არა აქვს. ხშირათ დაინახავთ ფუფუნებას უსუფთაობასთან ერთად. მოხელეების დანიშვნის დროს დიდ როლს თამაშობს ნათლიმამობა, „თავისი" ადამიანის წამოყენება სამსახურის ალაგზე, გამონახვა აუარებელ ბიძაშვილებისა და ნათესავების. „დავბრუნდებით ფრონტიდან და ვუჩვენებთ ამ ბურჟუებს!"—ლაპარაკობდნენ წითელ არმიელები ნოვგოროდში, რომლებიც ფრონტზე მიემგზავრებოდენ.

**„ჩრეზვიჩაიკა".** „ჩრეზვიჩაიკაში" თავის ამოყოფა ძალიან ადვილათ შეგიძლიათ, თუ გინდ არავითარი დანაშაულობას არ გრძნობდე. მე ძლივს მოვახერხე ერთ-ერთ ქართველის გამოყვანა „ჩრეზვიჩაიკიდან", რომელსაც ბრალათ მხოლოდ ის ედებოდა, რომ იგი თავის თანამგზავრებს „ამხანაგებს" კი არა, „ბატონებს" უწოდებდა...

ვაგონში მყოფ კომუნისტებმა ამაში ირონია დაინახეს. უნდა ამით აღინიშნოს, რომ ეხლა რუსეთში ბატონები მარტო კომუნისტებიაო!.. დიდი ცდა იყო საჭირო, რომ კომუნისტები დარწმუნებულიყო, რომ აღნიშნულ ქართველს არავითარი ცუდი განზრახვით არ წარმოუთქვამს სიტყვა „ბატონი", რომ მასში გამჯდარია „ბურჟუაზიული" ჩვეულება უწოდოს თავის თანამგზავრებს „ბატონობით"...

„ჩრეზვიჩაიკის" აგენტები ყველგან მოიპოვებიან: რკინის გზებზე ისინი თვალყურს ადევნებენ, თუ რა წერილობითი ან დაბეჭდილი მასალა მოგაქვთ თან. ჩემ მიერ შეკრებილი მდიდარი მასალები საბჭოთა რუსეთის ცხოვრების შესახებ,—ჩოდილო.დასავლეთის გამოკვლევის შეთგები და სხვა დოკუმენტები მე იძულებული შევიქენი ნაწილი დამემარხა პეტროგრადში, ნაწილი კი გამენადგურებია გზაზე. მე იძულებული შევიქენ უარი მეთქვა მასალების წამოღებაზე ხარკოვში, ვინაიდან მხოლოდ ცდა ამისთვის იქ მე დამიჯდა 7 ათასი მანეთი, რაც მეტათ ძვირია.

**ტრანსპორტი.** ტრანსპორტის მოშლის საუკეთესო დამამტკიცებლათ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ გზაში ერთი, ორი და მეტი დღე უნდა იცადოთ სანამ ორთქლმავალი მოვიდოდეს და მატარებელიც დაიძრებოდეს.

**ბავშვების თავშესაფარი.** სატახტო ქალაქის ბავშვთათვის საბჭოთა მთავრობა აწყობს სხვადასხვა გასართობებს, წარმოდგენებს, შობის ხეებს („იოლკა") და სხვა. საზოგადოთ საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს, რათა შეჭფერონ მცირეწლოვან მოქალაქეთა უფერული ცხოვრება. ბოლშევიკები ყველა საშუალებებით ცდილობენ სიმპატია მოიპოვონ მოზარდ თაობაში. ბავშვთა თავშესაფარისთვის ქალაქში საუკეთესო შენობები აქვთ გადადებული—ევროპიულ სასტუმროში მოთავსებულია ლენინის სახელობის თავშესაფარი; ბავშვები თავშესაფარში გაძლიერებულ ულუფას იღებენ. სასურსათო კრიზისის გამო ხშირათ თავშესაფარში ათავსებენ ბავშვებს ის მშობლებიც, რომლებიც წინათ მდიდრებათ ითვლებოდენ. თავშესაფარში იღებენ მხოლოდ ჯანმრთელ ბავშვებს. დაავათმყოფებულ ბავშვებს თანდათანობით უარს ეუბნებიან თავშესაფარში მიღებაზე.

**მობილიზაცია.** ხდება თუ არა მობილიზაცია ისე, როგორც ამას საბჭოთა პრესა ასურათებს? იმის გასაგებათ, თუ როგორ მიმდინარეობს როგორც კომუნისტების, ისე უბრალო მოქალაქეთა მობილიზაცია,—უნდა მხედველობაში მივიღოთ ის პირობები, რომელშიაც ეს მობილიზაცია ტარდება. კომუნისტებს მობილიზაციას ახდენენ იმ მიზნით, რათა ისინი დანიშნონ ადმინისტრატორებათ, კომისრებათ, პროპაგანდისტებათ და სხ. ხელმძღვანელი როლი ყველგან მათ აქვთ დაკისრებული. სოფლებში არსებობს „რეკრუტების" გაწვევა თითქმის ისე, როგორც ეს ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა. ამის შემდეგ ნათელია ის გარემოება, რომ სოფელი იძლევა დიდძალ დეზერტირებს, რომ-

[illegible]

## სასამართლოში

9 ივლისის სხდომა.

[illegible]

ივლისის 10 სხდომა.

[illegible]

მისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მინისტრების რამიშვილის და ხომერიკის და მინისტრის ამხ. ჭიჭინაძის ჩვენებებს და თხოულობს გაეგზავნათ ხელმეორედ უწყებები. სასამართლო ადგენს გამოწვეულ იქნან ეს მოწმენი და აგრეთვე თფილისის მილიციის უფროსის თანაშემწე კალანდარიშვილი.

მოწმე **ზორიანი** ადასტურებს, რომ მაღლაკელიძეს ჰყავდა რაზმი. სომხურ ეროვნულ საბჭოს ბენზინი არ მიუცია მაღლაკელიძესათვის, რადგანაც მას თითონაც არ ჰქონდაო.

მოწმე **მონიავა** აცხადებს, რომ მაღლაკელიძემ უთხრა ერთხელ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩაჩიბაიას დახმარებით ჩემს წინააღმდეგ ინტრიგას აწარმოებენ ვიცე-დირექტორი ნანეიშვილი და სხვებიო. სახლის ყიდვის ამბავი თვით მაღლაკელიძისაგან გავიგეო. მისი განმარტებით ცოტა ფული ცოლს ჰქონდა და დანარჩენი მამამ მომცაო.

მოწმე **გომართელი** (თფ. მაზრის ყოფილი კომისარი). თელავში მაღლაკელიძეს ვახლდი. ჯამაგირს გარდა ვიღებდი დღიურს, როგორც სხვები. მაშინ გარემოება ისეთი იყო, რომ შეუძლებელი იყო სალარო წესების დაცვა. იმ დროს, როდესაც მაღლაკელიძის მამა თფილისში იყო ჩამოსული, მე შემთხვევით მოვხვდი მაღლაკელიძის სახლში და ხელიც მოვაწერე იმ ქაღალდს, რომლითაც შალვა მაღლაკელიძემ თავის წილ მამულზე უარი სთქვა თავის სასარგებლოთ.

მოწმე **თულაშვილი**. (საგან. სას. წევრი, ყოფილი გამგე გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის). გამოწვეულია იმ გარემოების გამოსარკვევად, მართლა გადასცა ჩაჩიბაიამ მაღლაკელიძეს ის 150,000 მან., რომელიც ხაზინიდან ჩაჩიბაიამ გამოიტანა და შემდეგ გაფლანგულ იქნა. მოწმე აცხადებს, რომ მას ახსოვს ერთი შემთხვევა: ჩაჩიბაიამ ხაზინიდან გამოიტანა 300,000 მან. და მაღლაკელიძეს დაუწყო კაბინეთში. ეს იყო სომხეთთან ომის დროს. ეს ფული გადადებული იყო მაშინ დაპატიმრებულ სომხების შესანახად. ამ თანხიდან 200,000 მან. ეკუთვნოდა თფ. მაზრას, 100,000 მან. კი გაიგზავნა ქუთაისს, სადაც დაპატიმრებულნი იგზავნებოდენ. ჩაჩიბაიას მოტანილი ფული მე მივიღე, როგორც კანცელარიის მმართველმა და გადავეცი შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაზინადარს შესანახად, რადგანაც ჩვენ კანცელარიაში შესაფერი სალარო არ მოგვეძებნებოდა. იქიდან ფული იხარჯებოდა საჭიროების თანახმად. სხვა შემთხვევა ჩაჩიბაიასაგან მაღლაკელიძისათვის ფულის გადაცემისა ჩემის თანადასწრებით არ ყოფილა.

მოწ. **პოლ. სოლოღაშვილი** მიუთითებს სასამართლოს ბათალიონში არსებულ წესებისა და ფულის ანგარიშების წარმოებაზე.

## სახალხო გვარდიაში

5 ივლისს შესდგა რკინის გზის რაიონის ფრონტიდან დაბრუნებულ გვარდიელთა საერთო კრება.

კრებას თითქმის ყველა ამხანაგები დაესწრენ. კრებას ხსნის ამხანაგი ქეშიშოვი.

თავმჯდომარეთ ერთ ხმათ იქნა არჩეული ხოჯ ჯიბლაძე, მდივნათ ამხანაგი თულაევი. უპირველესათ ყოვლისა თავმჯდომარე სთხოვს ამხანაგებს ფეხზედ ადგომით პატივი სცენ ბრძოლის ველზედ გმირულათ დახოცილთ.

მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე მომენტზე, შემდეგ წინანდელ და ახლანდელ შტაბის მუშაობაზე.

მომხსენებელი ეხება იმ საკითხს, თუ რა კეთდებოდა ზურგში ამხანაგების ფრონტზე ყოფნის დროს.

ამხანაგი ქეშიშოვი შეეხო დღევანდელ მომენტს და აღნიშნა, რომ ვისაც სწამს სამშობლო—ის უნდა გამოვიდეს იარაღით ხელში იმ დროს, როდესაც ჩვენი სამოთხისებური ქვეყანა მტრებისგან რკალივითაა შემორტყმულიო.

დასასრულ კრება ისმენს ამხანაგების განცხადებებს: 1) ყარაიაზში მიწების აღების და 2) ფრონტებზე სანიტარული დახმარების გაძლიერების და მისი შემდეგში უკეთესად მოწყობის შესახებ. ამ გადაწყვეტილების განხორციელება მიენდო შტაბის პრეზიდიუმს.

დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: რკინის გზის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის მრავალრიცხოვანმა კრებამ, მოისმინა რა ამხანაგ ნ. ჯიბლაძის მოხსენება მომენტზე,—დაადგინა: გამოუცხადოს ულრმესი მადლობა ყველა იმათ, ვინც ჩვენს ფრონტზე ყოფნის დროს ენერგიულათ მუშაობდნენ, ჩვენთან ერთად იცავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეს და უმაგრებდენ ზურგს ფრონტზე მყოფ ჯარს და გვარდიას. კრება სალამს უძღვნის საქართველოს უზენაეს ორგანოს—დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას. ფიცს სდებს

მხარი დაუჭიროს მათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცებაში. კრებას სწამს, რომ ის სწორი ხაზი ჩვენი ცხოვრებისა, რომელიც აქვს აღებული საქართველოს მოღვაწეთა და მუშათა კლასის მასწავლებლებს, შეურყევლათ მიიყვანს საქ. რევოლიუციონურ დემოკრატიას აღთქმის ქვეყანაში —სოციალიზმში.

ი. გვარდიელი.

გარე-კახეთის საოლქო გვარდიის შტაბი აცხადებს რომ მის მიერ იქნენ გაძევებულნი გვარდიიდან ბოროტ-მოქმედებისათვის: 1) ესაიაშვილი სპირიდონი, 2) სალთხუციშვილი იმირონი, 3) დარისპანიშვილი გიორგი, 4) შუბაშვილი გიორგი და 5) ცოფურიშვილი გიორგი.

## ს. დ.-პარტიაში

**ჭიათურა-საჩხერის** რაიონში მომუშავე პროპაგანდისტები თავის მუშაობის შესახებ ხშირათ აკეთებენ ჭიათურის სოც.-დემ. კომიტეტში მოხსენებებს. როდესაც ამ მოხსენებებს ყურს უგდებ კაცი, სწორეთ იმედი გეძლევა, რომ ჩვენი მუშაობა ამ ორი წლის ქარცეცხლს ვერ მოუდუნებია. პირიქით, უფრო გამოუფხიზლებია პარტიის წევრები და უფრო დიდი ენერგიით შესდგომიან მუშაობას. ამჟამად ჭიათურა-საჩხერის რაიონში 33 ორგანიზაცია არსებობს დ ყველა ორგანიზაციებში საქმე თავის სიმაღლეზეა დაყენებული. პროპაგანდისტები აწარმოებენ სოფლის ორგანიზაციებში მეცადინეობას: უხსნიან ხალხს დღევანდელი მომენტის მნიშვნელობას და პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს. სხვა პარტიებს ხალხი იჭვის თვალით უყურებს, განსაკუთრებით „სამოთხის“ მოციქულებს—ბალშევიკებს. პროპაგანდისტების დაკვირვებით ხალხში პროვოკაციის გასავალი არ აქვს და დიდი უმრავლესობა, დაახლოვებით 99% იმის მომხრეა, რომ მყუდროება იყოს და ხელი შეუწყონ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. ხალხს დიდათ აინტერესებს მიწისა და ტყის საკითხი და, როდესაც ამაზე ღებულობენ ახსნა-განმარტებას, კმაყოფილი რჩებიან. ხალხი დიდი სიმპატიით უყურებს მთავრობას და აღუთქვამს ყოველ წუთში დახმარებას. განსაკუთრებით ხალხის დიდი ყურადღება მიიქცია ბათომის ასე უმტკივნეულოთ დაბრუნებამ და სოფლათ ყველა იმას გაიძახის, რომ ჩვენი მთავრობა ბრძენი და შორს გამჭვრეტი არისო. ერთი სიტყვით, პროპაგანტისტების მოხსენებით ზემო აღნიშნულ ორ რაიონში ხალხი დიდი დამშვიდებულია და მოითხოვს, რომ მთავრობამ ყველა ჯოჯოხეთის მოციქულებს აღუკრძალოს თარეშობა, რომ ხალხმა ასე დამშვიდებით განაგრძოს ეკონომიური და პოლიტიკური მუშაობა. რაც შეეხება თვით ქალაქ ჭიათურას, აქაც პარტიული მუშაობა გაჩაღებულია. ყველა უბნებში მეცადინეობა თავის წესზე მიმდინარეობს. პარტიის წევრები დაუზარებლათ ესწრებიან წრეებს და პროპაგანდისტების მეცადინეობის შემდეგ იღებენ მონაწილეობას კამათში და თუ რომელიმე საკითხი გაურკვეველია მათთვის, მომხსენებლებიც დიდის ენერგიით უხსნიან მათ. ჭიათურა სულ ექვს უბნათ დავყავით, მაგრამ ეხლა კიდევ ვუმატებთ ორ უბანს, ასე რომ, მთელი ჭიათურა დაყოფილი იქნება რვა უბნათ, და ეს უფრო გააფართოვებს და გააძლიერებს ჩვენს მუშაობას.

თეოფილე კალანდაძე,

**ხიდისთავი** (გურია). 4 ივლისს შესდგა ხიდისთავის ს. დ. კოლექტივის ჩვეულებრივი კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები იაჩეიკებიდან, 2) პარტიული მუშაობის შესახებ, 3) სურსათის საქმე, 5) მეომართა დახმარება და დეზერტირები.

მოხსენებიდან ირკვევა, რომ ზოგი იაჩეიკებში მუშაობა შეფერხებულია, ყველაზედ მეტათ კი მეწიეთის იაჩეიკაში; მიუხედავათ კოლექტივის წინადადებისა იაჩეიკა ვერ მდგარა თავის სიმაღლეზე და ბევრ გაუგებრობას ჰქონია ადგილი; საქმის გამოსაწესებლათ კოლექტივმა მიიღო შესაფერი ზეიმები.

პარ. მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ი. ლ-ძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარ. მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი კრებამ დაადგინა, კვირაში იაჩეიკებს დაეთმოს ერთი კრება სხვადასხვა კითხვებზე. სამეცადინოთ. კრებების გაძღოლა და მეცადინეობა დაევალა მომხსენებელთა კოლეგიას, ამხ. ს. თედორაძის თავმჯდომარეობით. სასტიკათ უნდა იქნას დაცული პასუხისმგებლობა, რომ შესრულებული იქნას ყველა დავალებანი.

სასურსათო საკითხის შესახებ დადგენილ იქნა: კოლექტივი სასურველად სცნობს ჩამოერთვას თემში რეკვიზიციით ზედმეტი სიმინდი, ვისაც აქვს და გადაეცეს დამშეულებს. ამასთანავე ეცნობოს სამაზრო ერობას, რომ სოფელს საჩქაროთ დახმარება აღმოუჩინოს. კოლექტივი წინადადებას აძლევს მეომართა დამხმარე კომისიას პირნათლად შეასრულოს თავისი მავალეობა და თავის მხრივ კი ყოველივე ზომებს მიიღებს, რომ სოფლად არც ერთი დეზერტირი არ დარჩეს. ი. ნ.

## მუშათა შორის

**თფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირში.** სადელეგატო საბჭოს 3 ივლისის სხდომაზე, სხვათა შორის, განხილულ იქნა ძირითადი დებულებანი კავშირის შემნახველ-გამსესხებელ კასის წესდებისა. საბჭომ შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორება, რომლის ძალით შემნ.-გამ. კასაში მონაწილეობა სავალდებულოა კავშირის ყველა წევრთათვის. წესდების სრული პროექტი წარმოდგენილ იქნება შემდეგ სხდომაზე. სადელეგატო საბჭომ დაადასტურა აღმ. კომიტეტის წინადადება: 1) ფრონტის სასარგებლოდ 20.000 მ. გადადება და 2) სოციალურ დახმარების საზოგადოებაში კავშირის მთელი შემადგენლობით ჩარიცხვა.

## პროვინცია

**ს. მეჯვრისხევი.** ყაჩაღობამ ამ ბოლო დროს სოფლებში მიიღო ფართო ხასიათი, მაგრამ ჩვენი მილიციის მოქმედება მალე უღებს მათ ბოროტებას ბოლოს. 7/8 ივნისს სოფელ ზერტში, მეჯვრისხევის რაიონში, ვიღაც ბოროტმომქმედმა გაძარცვა ებრაელები. წაიღეს: 67 ათასი მანეთი და 600 ათას მანეთის ფართლეულობა. ს. მეჯვრისხევის მილიციის უფროსის ბ-ნ ლ. კვარაცხელიას მეოხებით ბოროტმომქმედნი მალე იქნენ აღმოჩენილნი. 8 ივნისს ეჭვით შეიპყრეს ზერტის მცხოვრები შაქრო მირაზანაშვილი, მაგრამ უკანასკნელი გაუსხლტა ხელიდან. მიღებულ ზომებით თითქმის მესამედი დაკარგული საქონლისა აღმოაჩინეს საქონელი. საქონელი აღმოჩნდა სხვადასხვა სოფლებში: ქ. გორში, უფლისციხეში. კარალეთში და სოფ. ხელთ-უბანში. თითონ შაქრო მირაზანაშვილი დატყვევებული მალე გამოტყდა და დაასახელა თავისი ამხანაგები: 1) აბრამა იასამანოვი (ქალაქი გორი) 2) ვანო მირაზანაშვილი, 3) არტემა ბაშარული (ხელ. რაიონი) და 4) ილიკო ბატაკაშვილი (ქ. გორი). ყველა ისინი გარდა უკანასკნელისა, შეპყრობილნი არიან და გადაცემულნი ქ. გორის მაზრის მილიციის უფროსზე გამომძიებლისთვის გადასაცემათ.

ერთი ღა დაგვრჩენია: გამოუცხადოთ ულრმესი მადლობა ს. მეჯვრისხევის რაიონის მილიციის უფროსს ბ-ნ კვარაცხელიას. თუ ყველა რაიონში ამგვარი ადმინისტრატორები იქნებიან, იმედია მალე აილაგმებიან ბოროტმომქმედნი, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი სოფლების ნორმალურ ცხოვრებას.

ვახტანგი.

## ფრონტისათვის

ქალ. ხაშურში ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიიღო ქ-ნ ბაბილინა ორჯონიკიძის ხელით ორი ათასი მანეთი (2000 მან.) ს. ტეზერში (კოშკის უბანი) ფრონტის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენიდან, რისთვისაც კომიტეტი ულრმეს მადლობას უცხადებს წარმოდგენაში მონაწილე შემდეგ პირებს: ქ-ბ ს. წეველიძისას, მ. ხარატაშვილისას, კ. ორჯონიკიძისას, ბ. ორჯონიკიძისას. ბ.ბ. კ. ორჯონიკიძეს, ი. ტურტოლაძეს, ი. ორჯონიკიძეს, ნ. მესხიძეს, არ. ხარატიშვილს, არ. წეველიძეს და ყელაშვილს.

კომიტეტი.

## წერილი რედ. მიმართ

„ერთობაში“ (153 №) მოთავსებულია წერილი მასწავლებლის ფსევდონიმით. დასახელებული კორესპოდენცია არის აგებული თავიდან ბოლომდე ყალბ ცნობებზე...

გამგეობა აცხადებს, რომ ის „ერთ-ერთი“ მასწავლებელი, რომლის გვარის დასახელებას ერიდება ბ-ნი მასწავლებელი, გახლავთ ჩვენი წარმომადგენელი, ჩვენივე დავალებით წარგზავნილი „მუშათა მაგიდაში“ საქონლის მისაღებად (და არა „ჩვენ დაუკითხავად“), ჩვენივე (და არა ყალბი) სიებით აღჭურვილი. მიღებულ საქონლის განაწილება და მასზე გაწეული ხარჯები განხილული და მიღებულია გამგეობის მიერ. არავითარ მითვისებას და ბოროტ-მოქმედებას ადგილი არ ქონია.

დუშეთის მაზრის მასწავლებელთა კავშირის გამგეობის მონდობილობით თავმჯდომარის ამხხანაგი **მიხ. ტაბლიაშვილი.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


# საჭიროა
## ქალაქ ბორჯომში

ასოთ-ამწყობი, ქართულ და რუსულ ენაზედ. პირობები კარგია. ადრესი: ქ. ბორჯომი, წ.-კითხვის წიგნის მაღაზიაში. (2301—2—2)

ყ. სრულ-უფლებიან ვიმნაზიის გამგე მათემატიკის
# მასწავლებელი

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1)

# იყიდება
## საკერავი მანქანა-შკაფი

ზინგერის სისტემისა. პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი
# ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი
# კ. გ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი
# ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საბკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი **ზ. უ. აღასოვი**

სპეციალურად **ქირურგიულ** ავადმყოფობას, მიღება დღისით; 2—3 საათ., საღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2. 1951—თ.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი
# ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
ხოლომონ ისაიას ძე **ვოლოხი**
(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
# ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3)



# განცხადებანი

15 ივლისს ციციანოვის აღმართზე
# დავკარგე საფულე

რომელშიაც იყო ფული 510 მ. პირადობის მოწმობა, მეტრიკული ამონაწერი და პურის ბარათი, დღიდან გამოცხადებისა ვაცხადებ გაუქმებულათ.

**ილია ბარამის ძე სულამანიძე.** (2325 1—1)

# იყიდება

სამ სართულიანი სახლი. ანტონოვის ქუჩა № 34 პირობების გაგება შეიძლება პლეხანოვის პროსპექტი № 162 (2303—2—2)

# მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალთა გუნდის
# მოგზაურობა

25 ივლისიდან

**სამხედრო უწყების კულტურულ სექციის ხელმძღვანელობით.**

**ბათუმ-აჭარაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, საჯევახოში, ფოთში, სენაკ-ზუგდიდში, აბაშაში, სამტრედიაში, ქუთაისში, ყვირილაში, ბორჯომ-ხაშურში** და სხვ. გუნდის წევრთა ჩაწერის უკანასკნელი დღე დანიშნულია 20 ივლისი, მუშათა სასახლეში საღ. 6—8 საათ. გუნდი შესდგება 30 კაცისაგან ეროვნულ ტანისამოსით გამოწყობილი ზეიმით და საკუთარი ზურნით შევა ბათომში. (2320 1—1)

# მეეტლეთა პროფ. კავშირის გამგეობა

ერთხელ კიდევ აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ „პასაჟირებმა“ წინდაწინ გაურიგდენ მეეტლეებს, რითაც თავიდან აცილებული იქნება უკმაყოფილება მგზავრებ-მეეტლეთა შორის, რაც ხშირი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, კავშირის გამგეობა ერთხელ კიდევ მოაგონებს საზოგადოებას და სთხოვს დაიცვას ზემოხსენებული განცხადება.

გამგეობა. (2289 2—1)